# სარბიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | სამშაბათი, 16 იანვარი 1995 № 4 (229) | ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# აშვეთიაზე ნადირობაა!

ამ უნიჭიერეს 17 წლის ფეხბურთელს მარტო ჩვენში როდი დაადგეს თვალი. ქუთაისელი თავდამსხმელი „ტორპედოს" წარმომადგენელ ბადრი ფარულავას პორტუგალიაში წაუყვანია გასასინჯად და იქაურ სელექციონერებს მოსწონებიათ კიდეც. ჯერ მხოლოდ ის ვიცით, რომ აშვეთიათ პორტუგალიის უმაღლესი დივიზიონის ერთ-ერთი გუნდი დაინტერესებულა და მისი გადაბირებაც უცდია, თუმცა გარიგება ჯერ არ შემდგარა. აშვეთია „ტორპედოში" მაისამდე მაინც ითამაშებს. აშვეთიას მოგზაურობა ამით არ შემოფარგლულა. მანამდე გერმანიაშიც იმყოფებოდა ამავე საქმეზე, მერე კი ტყუპების „ტრაბზონში" აღმოჩნდა, სადაც ამ გუნდის ორმხრივ თამაშშიც მიუღია მონაწილეობა. ამ მატჩში ტრაპიზონში გასასინჯად ჩასულ უცხოელებს, მათ შორის აფრიკელებსაც უთამაშიათ. აქ კი ქუთაისელ ფორვარდს დამსწრენი აღტაცებაში მოუყვანია. თამაში აშვეთიას მხარეს 7:6 მოუგია, თავად მიშას ხუთი ბურთი გაუტანია! თურქები, ცხადია, უმალ დაფაცურებულან, სანამ პორტუგალიელებს დაუსწრიათ, იქნებ ჩვენ გადმოვიბიროთ ეს ბიჭიო და შესთავაზეს კიდეც გადასვლა, მაგრამ აშვეთიას ჯერ-ჯერობით თავი შეუკავებია თანხმობისგან, რადგან გული თურმე პორტუგალიისკენ უფრო მიუწევს.

**ამ დროს კი მიხეილ აშვეთია თბილისის „დინამოს" საკუთრება ყოფილა...**

იხილეთ მეორე გვერდი

# ქინქის არავინ გაყიდის



შაბათს „მანჩესტერ სიტიმ" კვლავ წააგო. ამჯერად „ტოტენჰემთან" 0:1 და ისევ ბოლოდან მესამე ადგილზე დარჩა, თუმცა თავისუფლად შეეძლო მინიმუმ ფრეს მიღწევა და მოგებაც კი.

თამაში ხუთი წუთის დაწყებული იყო, სტუმრებს კი უკვე ორჯერ შეეძლოთ ანგარიშის გახსნა. მერე „ტოტენჰემიც" გამოერკვა და ტრადიციული ბრიტანული, ორმხრივიერიშოვანი თამაში გაჩაღდა, მაგრამ არატრადიციული ელემენტიც გამოერია: ლონდონელი კემპბელი პერსონალურად, მთელს მოედანზე „აეკიდა" ქინქლაძეს. ასეთი რამ აქაურ ჩემპიონატში ერთობ იშვიათი რამაა. „ქინქლაძის წინააღმდეგ პერსონალური თამაში ჩვენთვის მოულოდნელი იყო და სწორედ ამითაა განპირობებული, რომ ქართველმა ჩვეულად ვერ გაიბრწყინა. ეს ჩემი ბრალია. ასეთ პირობებში ტაქტიკა სულ სხვანაირი უნდა იყოს, ჩვენ კი ასეთი რამ ჯერ არ შეგვიმუშავებია. ამ თამაშმა დამანახა, რომ ქინქლაძეს აწი გაორმაგებულ ყურადღებას დაუთმობენ, ამიტომ რაღაც ახალი უნდა მოვიგონო." — ასეთი იყო ალან ბოლის პასუხი ჩემს კითხვაზე, რომელიც „სიტის" მწვრთნელს მატჩისშემდგომ პრეს-კონფერენციაზე დავუსვი. მართლაც, გიომ მხოლოდ ორჯერ შეძლო მასპინძელთა კართან საფრთხის შექმნა: 25-ე წუთზე, როცა ორი მცველი მოატყუა და შორიდან უძლიერესად დაარტყა, მაგრამ ბურთი ორიოდ სანტიმეტრით ასცდა კარს და 69-ეზე, როცა მისი დარტყმის შემდეგ გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ მცველმა იმარჯვა და მეკარეს წაეხმარა. ამის გარდა, „სიტის" რამდენჯერმე შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ ქუინმა ვერ ივარგა, როსლერის დარტყმული კი ძელს მოხვდა. ეს 77-ე წუთზე მოხდა. ამ დროს მასპინძლები უკვე იგებდნენ — 65-ე წუთზე არმსტრონგმა ბოლოსდაბოლოს აჯობა იმელს, ვინც აქამდე ორი მკვდარი ბურთი აუღო იმავე არმსტრონგსა და ტედი შერინგემს, და თაურით გამარჯვების გოლი გაიტანა.

ბოლი უკმაყოფილო დარჩა თავისი გუნდის თავდასხმით, თუმცა როსლერი და ქუინი რა არიან, ამათი სრულფასოვანი შემცვლელიც კი არა ჰყავთ. შესვენებაზე მანჩესტერის რადიოს ჟურნალისტებმა მთხოვეს ინტერვიუ, რომელიც პირდაპირ გადაიცემოდა და სწორედ იქ ვთქვი კიდეც: „სიტის" რომ კიდევ ერთი ჩვენებური, თავდამსხმელი შოთა არველაძე ჰყავდეს, სამჯერ მაინც გაიზრდებოდა გუნდის შედეგიანობა-მეთქი. მანჩესტერელ კოლეგებთან მატჩის დაწყებამდეც მქონდა საუბარი და ამათ სწორედ ის ვკითხე, რაც, როგორც ვიცი, ყველაზე მეტად აინტერესებთ „სარბიელის" მკითხველებს: რომელიმე სხვა, უფრო ძლიერ კლუბში ხომ არ გაიყიდება ქინქლაძე-მეთქი. რას ამბობ?! — შეიცხადა „გარდიანის" თანამშრომელმა — ეს რომ ფრენსის ლიმ გააკეთოს, ვერც ის და ვერც ბოლი გულშემატკივრების რისხვას ვერ გადაურჩებიან. მხოლოდ ერთი შანსია, რომ ეს მოხდეს — თუ „სიტი" ქვედა ლიგაში გავარდა. მაშინ ფანებიც გაგებით მოეკიდებიან ქინქლაძის წასვლას: ამ ფეხბურთელმა ხომ მხოლოდ პრემიერ დივიზიონში უნდა ითამაშოს.

ხვალ „სიტი" ასოციაციის თასის მესამე წრის გადათამაშებას ატარებს შინ „ლესტერთან".

დავით მჭედლიშვილი,
ლონდონიდან

## «დინამომ» მოგება დაიკვება

თურქეთში მყოფმა თბილისის დინამოელებმა პირველი საკონტროლო მატჩი გამართეს ანთალიაში. მათი მეტოქე თურქეთის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი „ბურსასფორი" იყო. გორგი ანჩაბაძის ერთადერთი გოლის წყალობით „დინამომ" 1:0 მოიგო, თუმცა მეტიც შეეძლო, გოგიჩაიშვილს პენალტი რომ არ გასცუდებოდა. დღეს დინამოელები ან ტოლიატის „ლადას", ანაც ნოვოკუზნეცკის გუნდს შეხვდებიან, 20 იანვარს კი ბელგიის „ლიეჟს". თურქეთის „ისთანბულსფორსაც" შეუთავაზებია „დინამოსთვის" საკონტროლო მატჩი, მაგრამ ჩვენებს უუარიათ, რაკიღა სტამბოლში უნდა ჩასულიყვნენ. დინამოელები შინ 21 იანვარს დაბრუნდებიან.

## «ტორპედოს» ისევ ბურკაძე ავარჯიშებს

რეზო ბურკაძემ სეზონისწინა მზადება დააწყებინა ქუთაისის ტორპედოელებს. ასე რომ ხმები, ბურკაძე გუნდიდან წავიდაო, არ გამართლდა. მწვრთნელი ქუთაისის მერს, ფეხბურთზე გულშემობრუნებულ თემურ შაშიაშვილსაც შეხვედრია და საქმიანადაც უმუსაიაფიათ „ტორპედოს" სატკივარ-სადარდებელზედ.



## ჩვენთან არს შეფი!

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტის ელგუჯა ბერიშვილისგან ნაწვევ სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტს თოგაი ბაიათლის კარგა ხანია სურდა საქართველოში ჩამოსვლა, მაგრამ, ხან რამ შეუშალა ხელი და ხან რამ. და აი, გუშინ სპორტულ ჟურნალისტთა სამთელქვეყნოსაძმოს თავკაცი თბილისში ჩამოვიდა. ჩვენი პრეზიდენტისგან ვიცით, რომ ძვირფას თურქ სტუმარს საქართველოში არაერთი შეხვედრა ელის — მნიშვნელოვანიც, საინტერესოც და სალაღობოც.

# მანდელას ბიჭები არ ხუმრობენ

ამაო გამოდგა ფიფა-ს პრეზიდენტ ავლანჟის მიმართვაც — ნიგერიის დიქტატორმა, გენერალმა სანი აბაჩამ პასუხი არც დოქტორ ჟოაოს ალირსა და არც „სუპერარწივები" გაუშვია მანდელას ქვეყანაში — სახრეთი აფრიკის რესპუბლიკაში, აფრიკის XX ჩემპიონატს რომ მასპინძლობს. სამაგიეროდ, აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის (კაფ) სხდომაზე მოულოდნელად „გაიჩითა" ნიგერიის ფეხბურთის ასოციაციის თავკაცი, რომელსაც ფიფა-ს გენერალურმა მდივანმა ზეპ ბლატერმა ახარა, რომ ნიგერიას მომავალი მსოფლიო ჩემპიონატიდანაც გარიცხავენ. იქვე გაიმართა კენჭისყრაც და გამოცხადდა, რომ აფრიკის 2000 წლის პირველობას უმასპინძლებს ზიმბაბვე.

XX ჩემპიონატი შაბათს, სოუეტოს „ეფ-ენ-ბის" 80-ათასიან სტადიონზე გახსნა მანდელამ. იმის გამო, რომ გზები ჩაიხერგა, თამაშის დაწყება 20 წუთით დაგვიანდა. ხალხი ყვიროდა „ბაფანა, ბაფანაო", რაც ჩვენებური „ბიჭებო, ბიჭებოს" იოჰანესბურგული ვარიანტია.

სამხრეთ აფრიკამ გამოიყვანა 2 თეთრი და 9 ზანგი. გადასარევად ითამაშა თეთრმა მაქს ფიშმა, ვინაც ყველა გოლში დაიდო წილი. მე-14 წუთზე ანგარიში „ლიდს იუნაიტედის" თავდამსხმელმა ფილიმონ მასინგამ გახსნა, 37-ე წუთზე „ვულვერჰემპტონ ვონდერერზის" წევრმა მარკ ვილიამსმა შეაგდო მეორე გოლი, 54-ე წუთზე კი ჯონ მოშოიომ ისახელა თავი. ამათ გარდა, კარგად ითამაშეს ხუმალომ, ბუტელეზიმ, მაკალაკალანიმ. კამერუნელთაგან გამოირჩეოდნენ ვეტერანი ფრანსუა ომამ ბიიკი, ვინაც ახლა მექსიკის „ამერიკაში" თამაშობს და საფრანგეთის მეორე დივიზიონის კლუბ „ანჟერის" წევრი ჟორჟ მოიამე.

კვირას კიდევ ორ ჯგუფში გაჩაღდა შეჯიბრი. ბლუმფონტეინში ცხელოდა და ალჟირიცა და ზამბიაც დუნედ თამაშობდნენ. სამაგიეროდ პორტ-ელიზაბეთში გააჩაღეს კარგი თამაში მეზობლებმა — განამა და სპილოს ძვლის ნაპირმა. კოტდივუარელებმა წინა ორ პირველობაზე დაამარცხეს ოქროსნაპირელები — ოთხი წლის წინ ფინალში, ორი წლის წინ კი მეოთხედფინალში, მაგრამ ახლა რომ არაფრად ვარგიან, „მონაკოსთან" 1:10 წაგებამაც დაამტკიცა, რის შემდეგადაც ნაკრებიდან ერთბაშად ექვსი კაცი დაითხოვეს.

განას გუნდში შეხმატკბილებულან იებოა და აბედი პელე, რომლებიც წინათ კინკლაობდნენ. გოლებიც ამათ გაიტანეს: იებოამ მე-20 წუთზე ჰაერიდან დაარტყა, 69-ე წუთზე კი პელემ სოლო-რეიდი განახორციელა. მიმომხილველებმა ამ თამაშის შემდეგ შენიშნეს, ფინალში სამხრეთ აფრიკა და განა გავლენო.

გუშინ შეჯიბრში უნდა ჩაბმულიყო სიერა-ლეონე, მაგრამ ჯერ კიდევ შაბათს ამ ქვეყნიდან საგანგაშო ცნობები მოდიოდა — ნაკრების მოთამაშეები „მოტეხილი" პრემიების გამო გაფიცულანო.

„ა" ჯგუფი: 13.I. სამხრეთი აფრიკა — კამერუნი 3:0. „ბ" ჯგუფი: 14.I. ზამბია — ალჟირი 0:0. „დ" ჯგუფი: 14.I. სპილოს ძვლის ნაპირი — განა 0:2.

კონმებოლმა და კონკაკაფმა გუნდების გაცვლა გააჩაღეს: თუ შარშანდელ „კოპა ამერიკაზე" მონაწილეობდნენ მექსიკა და აშშ, წლევანდელ „კონკაკაფის გოულდ კაპზე" თამაშობს ბრაზილიის 23 წლამდე ნაკრები, რომელიც ატლანტის ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირისთვის ემზადება.

შეჯიბრის 9 მონაწილე სამ ჯგუფადაა დაყოფილი. ერთში ბრაზილიამ ლოს-ანჯელესში 4:1 მოუგო კანადას (12.I) და 5:0 ჰონდურასს (14.I), ხოლო კანადამ — 3:1 ჰონდურასს (10.I, ანაჰაიმში); მეორეში მექსიკამ სან-დიეგოში ჯერ სენტ-ვინსენტსა და გრენადინებს 5:0 (11.I) აჯობა, მერე კი 1:0 გვატემალაც დაამარცხა (14.I); მესამეში კი ანაჰაიმში ორივე თამაში წააგო ტრინიდადმა და ტობაგომ — ალვადორთან 2:3 (10.I) და აშშ-თან 2:3 (13.I).

მეოთხედფინალში ჯგუფების გამარჯვებულები და საუკეთესო „მეორე" გავლენ.

გიგა კობახიძე

## ძოძუაშვილი ახალგაზრდულ ნაკრებში?

ასეთ მოსაზრებას, სულაც ჭორის დონეზე გაგონილს, ბოლო ხანს ხშირად გაიგონებდით. ეჭვი მერე უფრო გაძლიერდა, რაც ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელთა მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეფასდა.

ვითარებაში გასარკვევად ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივანს დავით კვინიკაძეს მივმართეთ: „მართალია, ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელთა მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეფასდა, მაგრამ საკითხი მწვრთნელთა შეცვლის თაობაზე ოფიციალურად არ განხილულა.“

## შოთა ჭეიშვილი შსს აკადემიის მწვრთნელია



გაუწყა შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიის რექტორმა შოთა გორგოძემ, რომელიც II ლიგის ლიდერის წლევანდელი წარმატებების ერთ უმთავრესი სულისჩამდგმელი გახლავთ. შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ოცნებობს იმ დროზე, როდესაც წინა წლების მსგავსად პოლიციის გუნდი ქვეყანაში უძლიერესი იქნება.

შსს აკადემიის გუნდი წელს შეიქმნა „ავაზას“ ბაზაზე, ჩემპიონატიც კარგად დაიწყო, მაგრამ ზედ შესვენების წინ წაიფორხილა. მიზეზი ის გახლდათ, რომ გუნდის ახალმა მფლობელებმა ძველი მწვრთნელი მიშა ჯარმელაშვილი გუნდიდან გაუშვეს. წარმატების მიუხედავად, მათ, როგორც ჩანს მწვრთნელად ცნობილი და სახელიანი სპეციალისტის მიწვევა სურდათ და დაიწყეს კიდეც ძებნა - მოლაპარაკებები. ყველაზე რეალური იყო ორი კანდიდატურა: „სამტრედიიდან“ წამოსული მურთაზ ხურცილავა ახალ გუნდში მუშაობას კი ესწრაფოდა, მაგრამ ისეთ გუნდში სურდა მისვლა, რომელიც მხოლოდ უმაღლეს მიზნებს დაისახავდა. შსს აკადემია კი, მოგეხსენებათ, მეორე ლიგის გუნდია. ხურცილავა, როგორც სანდრო წყაროებიდან შევიტყვეთ, საქართველოს I ჯგუფის ლიდერებთან აწარმოებს მოლაპარაკებებს. ასე, რომ „ხურცილავას ვარიანტი“ გამოირიცხა. დარჩა მეორე კანდიდატურა — შოთა ჭეიშვილი, რომელიც ოლიმპიური ნაკრების მთავარი მწვრთნელი კი გახლდათ, მაგრამ, აქტიურ საკლუბო მუშაობას მოწყვეტილი იყო. აქაც იყო პრობლემა - მოგეხსენებათ, ნაკრების მწვრთნელებს საკლუბო გუნდებში მუშაობის უფლებას არ რთავდნენ. ჭეიშვილი თანახმა იყო წინადადებაზე, მაგრამ ელოდებოდა ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომის შედეგებს, რომელზეც ნაკრების მწვრთნელთა უფლებების საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო. მართალია, ეს საკითხი არ განხილულა, მაგრამ სიტყვიერი თანხმობა, ჩანს, მიღებულია და საქმეც საბოლოოდ მოგვარდა. დავძენთ, რომ ჭეიშვილი ნაკრებში მის თანაშემწესთან, ვახტანგ კოპალეიშვილთან ერთად იმუშავებს.

მერაბ მამულაშვილი

## წუწურაძე პორტუგალიელები



მართალია, ევროპელებად ანუ წესიერ ხალხად ითვლებიან, მაგრამ არც პორტუგალიელებისთვის ყოფილა უცხო ჩვენებური „გადაგდება“. თავად განსაჯეთ: გომეშების, სოუზებისა და კოუტუების ქვეყანაში გასასინჯად ჩასული ფოთის „კოლხეთის““ ვეტერანი თამაზ კიკლიაშვილი II ლიგის გუნდს მოსწონებია. ფოთელებს წესისამებრ შეუთვლიათ პორტუგალიელებისთვის, ეგ ჩვენი მოთამაშე რომ გისურვებიათ, ფულზე როგორა ხართო? იმათ თავი გამოუდიათ, კარგად ვართ და სიტყვიერ პირობასაც გაძლევთ, 10000 დოლარს, თქვენ რომ ითხოვთ, აუცილებლად გადაგიხდითო. ფოთელებს ჭკუა უხმარიათ და ფაქსით, ოფიციალურად მოუთხოვიათ. მოუთხოვიათ და მას მერე პორტუგალიელთაგან ალარაფერი სმენიათ: ეტყობა, კიკლიაშვილი მუქთად სურდათ და გარიგებაც ჩაიშალა. ამჟამად კიკლიაშვილი ბედს გერმანიაში ეძებს.

## «ბათუმში» კვლავ ჩხარტიშვილია

თამაზ კოსტავამ, რომელსაც ბოლო ხანს საფეხბურთო კულისებში „ბათუმის“ შესაძლო მთავარ მწვრთნელად სახავდნენ, თავად მოუღო ბოლო ამ საუბრებს. მისი თქმით, ის არსად აპირებს წასვლას: „ნაკრებშიც ბევრი საქმე მაქვს და ესეც მეყოფა, თანაც უხერხულიც კია, ცოცხალი კაცის ადგილას წავიდე სამუშაოდ. ვალერიან ჩხარტიშვილი უკვე სამი წელია გუნდშია და მისი ავკარგი უკეთ იცის.“

ეს ხმები მას შემდეგ აგორდა, როცა ზაფხულში ბათუმში ნოდარ ახალკაცი ასლან აბაშიძეს შეხვდა. მათი საუბრის თემა, ბუნებრივია, ბათუმის „დინამოს“ გაძლიერებაც გახლდათ. განუხილავთ მწვრთნელთა შესაძლო კანდიდატურებიც. დასახელებულან თამაზ კოსტავა და „გურიას“ ყოფილი მწვრთნელი გიგლა იმნაძე. აი, ამის შემდეგ დაიწყო ამაზე ლაპარაკი. თავად ფეხბურთელები ამ ვითარებაში გუნდისთვის აუცილებელ პიროვნებად ჩხარტიშვილს მიჩნევდნენ. ერთი სიტყვით, II წრეში „ბათუმს“ კვლავ ვალერიან ჩხარტიშვილი მოამზადებს.

## ბურნაძეც «ლოკომოტივში» გადავიდა

რუსთავის „მეტალურგისა“ და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი ალექსანდრე ბურნაძე გივი ნოდიას მიწვევით პეტერბურგის „ლოკომოტივში“ გადავიდა და იქ მოთამაშე ძმებ კილასონიებს შეუერთდა. შეგახსენებთ, რომ „ლოკომოტივი“ რუსეთის პირველ ლიგაში დებიუტისათვის ემზადება.

დნეპროპეტროვსკის „დნეპრში“ გასინჯვაზე მყოფი ალექსანდრე რეხვიაშვილი და თამაზ პერტია ამ კლუბს ბულგარეთში გაჰყვნენ შეკრებაზე. სწორედ ამ შეკრების შემდეგ გაირკვევა, დაიტოვებენ თუ არა ქართველებს უკრაინელები.

## ჯერ ფული გადაგვიხადეთო...

ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივში“ გადასული ბესიკ ბერაძის ყოფილი გუნდი „სამტრედია“ ვერ შეჰგუებია მის დაუკითხავად წასვლას და ფეხბურთელის საფასურს ითხოვს. იმერები ნემცოვის საგუბერნატორო ქალაქის გუნდს თავისიანის უპრაგონოდ წაყვანას აბრალებენ, აქაოდა, რუსები ხართ და ჩვენზე უკეთ გეცოდინებათ თქვენებური გამოთქმა: „სპერვა დენგი, პატომ ...“ პატომში კი, ძნელი მისახვედრი არ არის — ბერაძე იგულისხმება.

მერაბ ჟორდანია „სარბიელის“ 1995 წლის აბსოლუტური რეკორდსმენი გამოდგა: მასთან თორმეტი ინტერვიუ დაიბეჭდა, ე.ი. საშუალოდ თვეში ერთხელ გახვედრებდით „დინამოს“ პრეზიდენტს. აბა, ტრადიციას ხომ არ დავარღვევდით და „საიანვრო“ ინტერვიუსაც გთავაზობთ, ძველით ახალ წელს რომ ჩავინერეთ. ხუმრობა იქით იყოს და მასთან საუბარი ნებისმიერ ჟურნალისტისათვის სასიამოვნოა, რაკილა იგი თამამად შეიძლება ჩაითვალოს კლუბის ევროპული ტიპის პრეზიდენტად, რაც ჩვენში ჯერ კიდევ იშვიათობაა.



მერაბ ჟორდანია, მორტენ ოლსენი და რომან შოთაძე

— მერაბ, რას მოუტანს „დინამოს“ 1996 წელი?

# „დინამო“ ხელებს იკაპიწებს!

— ვფიქრობ, ჩვენთვის გარდატეხის წელი უნდა იყოს. მოგეხსენებათ, საამისო თადარიგი ადრევე დავიჭირეთ და გუნდის გაძლიერება დავიწყეთ. ინალიშვილი და ყიზილაშვილი უკვე „დინამოს“ წევრები არიან, თვალი დავადგით სხვა ფეხბურთელებსაც.

— „დინამოში“ მოვარჯიშე გიზო ჯელაძეს, ჯიქიას, კვიტატიანს და ქოქოშვილს გულისხმობთ?

— ამათაც და სხვებსაც. მაგრამ ჩემი პრინციპი იცით — „დინამოში“ თამაშს დავით ყიფიანის „ვიზა“ უნდა. მე იმის მერე ვიწყებ მოქმედებას. ჯელაძე ახლა „შევარდენს“ ეკუთვნის, მაგრამ ჩვენთან ვარჯიშობს, რაკილა „ვიზა“, ფაქტობრივად, აქვს. ახლა მისი გადმოყვანა გამორიცხულია, მაგრამ როგორც კი სეზონი დამთავრდება, გადმოვიყვანთ. ახლა კი აქედანვე ვაჩვევთ „დინამოს“, თანაც აქ ყველაზე უკეთესად მოემზადება.

— ბევრი ლაპარაკია ყოფილ დინამოელთა დაბრუნებაზე. კონკრეტულად რომელ ფეხბურთელს ესაუბრეთ?

— ლაპარაკი ექვსი კაცის დაბრუნებაზე [illegible] ნემსაძე და კახი ცხადაძე. თუ წელს „დინამო“ ჩემპიონთა ლიგის შესარჩევ ეტაპზე დაუშვეს, საქმე გაადვილდება და ლიგას მომზადებულნი შევხვდებით.

— გუნდი ახლა თურქეთშია, შემდეგ მოსკოვში წავა. მესამე ეტაპს სად გაივლის?

— მოლაპარაკებას ვაწარმოებთ ამერიკის შეერთებული შტატების ხუთ-ექვს საფეხბურთო კლუბთან. თუ ამერიკელებმა თავი მოაბეს ძლიერი საფეხბურთო ლიგის შექმნას, ალბათ წავალთ ამერიკაში. თუ ეს ვარიანტი ჩაიშლება, სხვა ქვეყანას გამოვძებნით.

— „ბოსმანის საქმემ“ საფეხბურთო ევროპა ლამის თავდაყირა დააყენა. „დინამოს“ თუ შეეხება ეს ამბავი რამენაირად?

— ევროპის 50 ქვეყნიდან ეს ამბავი, მოგეხსენებათ, 18-ს ეხება. ჩვენ ჯერჯერობით არ ვართ მათ სიაში. თუ უეფამ რაღაც არ იღონა, მაშინ ფეხბურთს დიდი ზიანი მიადგება, კლუბების გამდიდრების ნაცვლად კერძო აგენტები იშოვიან მილიონებს, ეს კი არმც და არამც არ არგებს ფეხბურთს. პირადად მე ძველ ვარიანტს ვემხრობი. როგორც გავიგე, ბოსმანს იუპანსონის ერთ-ერთი მოწინააღმდეგე უდგას ზურგსუკან. აწი რაც არ უნდა მოხდეს, ფაქტია, „ძველი ვარიანტი“ მთლიანად ვეღარ აღდგება. საბოლოოდ, ალბათ, კომპრომისულ გადაწყვეტილებას მიიღებენ. ისე, აქედანაც შეიძლება ჩვენთვის სასარგებლო გამოვწუროთ, მაგალითად — მამუკა ჯიქიას „დინამოში“ გადმოყვანა, თუკი ასეთი გადაწყვეტილება მივიღეთ.

— ჩვენ ხირად გვისაუბრია, ასე ვთქვათ, „ჩემოდნებზე მსხდომთ“. მაგრამ მე თუ რედაქციაში მეჩქარებოდა ხოლმე, თქვენ აეროპორტს მიაშურებდით. დღეს სად მიფრინავთ?

— ორიოდ საათში მოსკოვში მივფრინავ, იქიდან ინგლისში, მანჩესტერში უნდა ჩავიდე. ქინქლაძის პოპულარობა იმდენად გაიზარდა, მისით უკვე ცნობილი ფირმებიც დაინტერესდნენ და სარეკლამო სამსახურს სთავაზობენ. საუბარია მსოფლიოში სახელგანთქმულ ბუცების მწარმოებელ ფირმებზე. გიოს შესათავაზეს კიდეც, ჩვენი ბუცები ჩაიცვი და დიდ ფულს გადაგიხდითო. მისი კეთილსინდისიერება ხომ იცით, იმწამსვე დამირეკა და მითხრა, უშენოდ არანაირ კონტრაქტზე არ მოვაწერ ხელსო. მოკლედ, ჩავალ და, გიოს რომ შეეფერება, იმნაირ კონტრაქტზე მოვაწერთ ხელს.

— ქინქლაძის კონტრაქტში ტალინის „ფლორას“ პრეზიდენტმა პოლაკმა მიიღო დიდი მონაწილეობა. ადრე მეთხარით, პოლაკს შეგულებული ჰყავს რამდენიმე ფეხბურთელი და ამ და სხვა საქმეებზე უნდა ჩამოვიდესო. ასეთ პარტნიორთან საქმის დაჭერა კი მართლაც ღირს. როდის გვეწვევა პოლაკი?

— მე და პოლაკს ხშირი სატელეფონო საუბარი გვაქვს და გადავწყვიტეთ, ისიც ინგლისში ჩამოვიდეს და იქ შევხვდეთ ერთმანეთს.

— „დინამო-2“-მა „დავალება“ პირნათლად შეასრულა. ის კი არა, მეორე ჯგუფ ლიდერობს კიდეც. დავუშვათ და, გათამაშება პირველ ადგილზე დაამთავრა. პირველ ლიგაში ორი გუნდი გეყოლებათ?

— ეს მართლაც არაა გამორიცხული, თუმცა ჯერ ამაზე სერიოზულად არ გვიფიქრია. მაგრამ თუ გუნდმა მოიპოვა პირველი ჯგუფის საგზური, ცხადია, ითამაშებს კიდეც.

— მოსკოვის ტურნირზე რას გეგმავთ?

— წესით გუნდს უკვე უნდა ეტყობოდეს გაძლიერების შედეგები, ამიტომ, ვფიქრობ, მოსკოვში ღირსეულად გამოვალთ.

ოდითგანვე ასე იყო: „პირველის“ ჩრდილში მოქცეულ თანაშემწეებს, ფაქტობრივად, არავინ იცნობს. „დინამოს“ ვიცე-პრეზიდენტი რომან შოთაძეც ჩუმად და გულმოდგინედ აკეთებს თავის საქმეს, მერაბ ჟორდანიას საქართველოში არყოფნისას კი პრეზიდენტის ჭაპანსაც ეწევა. ახლა იმდენი საინტერესოს გაგება შეიძლებოდა მისგან, ვიფიქრე, ანი ამ კაცსაც ხშირად შევახვედრებ „სარბიელის“ მკითხველებს-მეთქი.

— რომან, დღეს ყველას ძალიან აინტერესებს საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის გოჩა ჯამარაულის საკითხი. იგი ტრანსფერზეა წარდგენილი. რა თანხაზეა ლაპარაკი?

— ნახევარ მილიონ დოლარზე. კლუბი, რომელიც ჯამარაულის წაყვანას მოისურვებს, ნახევარ მილიონ დოლარს გადაიხდის. ეს კლუბის დირექტორატის გადაწყვეტილებაა. ჩვენ ბევრი ვიმსჯელეთ, მაგრამ ვფიქრობთ, ეს თანხა არც ძალიან დიდია, არც საკმაოდ ცოტა. ჩემი პირადი აზრით, ქართველი ფეხბურთელისთვის ეს საკმაოდ სოლიდური თანხაა.

— ჟორდანიას თქმით, ჯამარაულს „დინამო“ აღარ დაეხმარება კლუბის მოძებნაში. როგორღა იპოვის გოჩა იმ კლუბს, ვინც ამხელა თანხას გადაიხდის?

— ჩვენი მონაცემებით, ჯამარაულს ჰყავს თავისი აგენტი, რომელიც მისთვის კლუბს ეძებს.

— ჩემი მონაცემებით კი ვლადიკავკაზის „სპარტაკს“ და „ტრაბზონსფორს“ სურდათ მისი გადაბირება. ნუთუ ამ კლუბების ხელმძღვანელთაგან არავინ დაგელაპარაკებიათ?

— გველაპარაკნენ, მაგრამ ჩალის ფასად უნდოდათ წაყვანა. ჩვენ კი თითოეული ფეხბურთელის შენახვა უზარმაზარი თანხა გვიჯდება. დიდი ხანია „იმ ასაკიდან“ გამოვედით, როცა ჩვენს ფეხბურთელს ვინმეს ჩალის ფასად ვატანდით. აწი არც სუსტ საფეხბურთო ქვეყანაში წავა ვინმე „დინამოდან“ და არც ისე წავა, მატერიალურად კარგი პირობები რომ არ შემოგვთავაზონ. მორჩა, საქმე „დინამოსა“ და ქართული ფეხბურთის პრესტიჟს ეხება!

— ტორპედოელი მიხეილ აშვეთიას თურქეთსა და პორტუგალიაში გამგზავრებას ძალზე აღუშფოთებიხართ. რატომ?

— აშვეთია „ტორპედოში“ კი თამაშობს, მაგრამ დინამოელია. სეზონის წინ მასზე და გიორგი შენგელიაზე გვთხოვა რეზო ბურკაძემ, „დინამოში“ ყოფნას, ჩემთან ძირითადში ვათამაშებო, ულაპარაკოდ ვათხოვეთ ორივე ფეხბურთელი, ხაზს ვუსვამ, ვათხოვეთ -მეთქი, რადგან ორივე „დინამოში“ ირიცხება და როცა დაგვჭირდება — გამოვითხოვთ. არა მგონია, ჩვენი მეგობარი რეზო ბურკაძე თავზე გადაგვახტეს.

— სახელმწიფოს მეთაურის ცნობილი დადგენილების შემდეგ, რომელმაც „დინამოს“ კომერციულ საქმიანობაში პრიორიტეტი მიანიჭა, არაერთი კეთილი საქმე გააკეთეთ. ჭერი წყალბურთის აღორძინებაზე. კიდევ ხომ არ არის ისეთი საქმე, ჩვენ რომ არ ვიცოდეთ?

— საქმეს მართლაც უამრავს შევეჭიდეთ. ახლა ვინახავთ ფეხბურთის ორ „დინამოს“, ჩვენს საფეხბურთო სკოლას 400 აღსაზრდელით, კალათბურთის „დინამოს“ და საკალათბურთო სკოლას. ვაფინანსებთ ნიჭიერ მოკრივეს მამუკა წიკლაურს. მცხეთის რაიონის სოფელ ძეგვში ფირმა „მალაქიტთან“ ერთად ავაშენეთ ძეხვეულის ჩაკეტილი მინი-ქარხანა, რომელიც გერმანული ფირმის „პაულ ბუსეს“ დანადგარებით იმუშავებს. სოფელ გლდანში 500 ჰექტარი მიწა გვაქვს, სადაც უკვე დავთესეთ ხორბალი, რომელსაც კლუბს მოვახმართ, პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, უსასყიდლოდ გადმოცემული სახელმწიფოს კუთვნილი შოკოლადის ქარხანა „მზიურის“ ამუშავებას და ქართული შოკოლადის გამოშვებას ვაპირებთ. მოკლედ უამრავ ხალხს გამოვუჩენთ სამუშაოს და საქართველოს ეკონომიკის აღორძინებაში ჩვენს წვლილსაც შევიტანთ. გარდა ამისა, უკვე შევარემონტეთ ბაზა, მარტში ხელოვნურსაფარიან მინდორს დავამთავრებთ. როგორ გაძლიერდება წელს „დინამო“ თავად ნახავთ, მოკლედ, ხვდებით, რომ მთავრობის მხრიდან ნდობას მართლაც ვიმსახურებთ და ქართული სპორტის აღორძინების გარდა სხვა სერიოზული მიზნებიც გვამოძრავებს.

— მთავრობაში სჯა-ბაასია, ის შეღავათები, რომლებიც სხვადასხვა ფირმებსა თუ უწყებებს მიანიჭეს, გააუქმონ. რა მოხდება ასეთ შემთხვევაში?

— ასეთ შემთხვევაში, ფაქტობრივად, ყველაფერი წყალში ჩაგვეყრება. ჩვენ შევხვდით სახელმწიფო მინისტრს ნიკო ლეკიშვილს, საგადასახადო სამსახურის უფროსს დავით სალარიძეს, ეკონომიკური რეფორმების დარგში პრეზიდენტის თანაშემწეს თემურ ბასილაიას, ფინანსთა მინისტრს დავით იაკობიძეს. პრეზიდენტის დადებითი აზრიც ვიცით ამის თაობაზე. ვფიქრობ, რაღაც ფორმას გამონახავენ, რომ კლუბის დახმარების ამგვარი ვარიანტი მომავალშიც გაგრძელდეს...

— ვლადიმერ გუცაევის „დინამოში“ გადმოსვლა თუ გადაწყდა?

— ჯერ არა, ისე კი, ვფიქრობ, ჩვენც შევიტანეთ გარკვეული წვლილი ორ ხალხს შორის ურთიერთობის გამოსწორების მცდელობაში. მეტ ფეხბურთელს კი აღარ გავუშვებთ ვლადიკავკაზში. არ გვინდა იმათი „სპარტაკი“... „დინამო“ გახდეს.

მამუკა კვარაცხელია

# ეს „დილა“ მაინც მწარეა

**გორში ჩასულს საკმაოდ სუსხიანი ამინდი დამხვდა, მაგრამ იხტიბარი არ გამიტეხავს, პირდაპირ სტადიონს მივაშურე, თუმცა იმედები უმალ გამიქარწყლდა — სტადიონზე სულიერი არ ჭაჭანებდა. დავიწყე გაკითხვ-გამოკითხვა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, გორის „დილას“ მთავარი მწვრთნელის დავით შავდათუაშვილის ასავალ-დასავალი არავინ იცოდა. სუსხმა მოუჭირა და თითქმის განწირული მეგონა თავი. რაღა დამრჩენოდა, უკან გამობრუნებას ვაპირებდი, როცა მხსნელად რევაზიშვილების ოჯახი მომევლინა. ამ სტუმართმოყვარე და კეთილმა ხალხმა ლამის მთელი ქალაქი ააფორიაქა, მაგრამ სულ ტყუილად — მწვრთნელის პოვნა ვერაფრით მოვახერხეთ. არცაა გასამტყუნარი, ყველა სიკეთეს მოკლებულ ქვეყანაში კაცს ათასგვარი პრობლემა აწუხებს. ვერც „დილას“ პრეზიდენტის ნოდარ დალაქიშვილის ნახვა შევძელი — უცხოელ სტუმრებს ხვდებოდა. ბოლოს გუნდის ტექნიკური დირექტორის ზურაბ დალაქიშვილის ნახვა მოხერხდა. იგი გუნდში ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა, მისთვის ყველა ნიუანსი გარკვეულია, ჩვენთვის საინტერესო კითხვებზეც თავდაჯერებით გვიპასუხა.**

— **როგორ შეაფასებთ პირველ წრეს თქვენი გუნდისთვის?**

— დამაკმაყოფილებლად. იმ პირობებშიც კი, რომლებშიც თამაში გვიწევდა. რაც ეროვნულ ჩემპიონატებში ვმონაწილეობთ, პირველი წრის შემდეგ 26 ქულა არასდროს გვქონია.

— **ჩემპიონატისთვის გუნდს ერთი მწვრთნელი ამზადებდა, პირველ თამაშზე კი „დილა“ მეორემ გაიყვანა. რატომ?**

— სეზონის დაწყებამდე ორი კვირით ადრე გუნდი მთავარმა მწვრთნელმა დატოვა. ეს გარკვეულ პრობლემებთან იყო დაკავშირებული. მერაბ კოჭლაშვილმა ყოველგვარი გართულების გარეშე გადაწყვიტა „დილადან“ წასვლა. არ შემიძლია არ აღვნიშნო ის შრომა, რომელიც ამ კაცმა გასწია. „დილა“ ამ სეზონს ასეთი მომზადებული რომ შეხვდა, ეს მერაბის დიდი დამსახურებაა, მან თითქმის ენთუზიაზმის ხარჯზე შესძლო ფეხბურთელების აყოლიება. მაშინ არცერთი ვარჯიში არ გაცდენილა. კლუბის ხელმძღვანელობა გაწეული ამაგისთვის დიდ მადლობას უხდის მას.

— **ახალ მწვრთნელზე რას იტყოდით — გაართვა თავი მოვალეობას?**

— ეს იყო დავით შავდათუაშვილის დებიუტი, მისი სამწვრთნელო კარიერის დასაწყისი. ადრე კი თამაშობდა ფეხბურთს, მაგრამ მწვრთნელად არასოდეს უმუშავია. ჩემი აზრით, მან მაქსიმუმის გაკეთება შეძლო, ასეთი კარგი შედეგის მიღწევა დათოს დამსახურებაც არის.

— **რომელ რგოლს გამოჰყოფდით?**

— მეკარეს და დაცვას. წრის მთელმა სიმძიმემ მათ ზურგზე გადაიარა. ნახევარმცველებისგან კი მეტს მოველოდი...

— **27 გატანილი გოლიდან ნახევარმცველებმა 9 გაიტანეს, თქვენ კი რატომღაც მათი თამაშით უკმაყოფილო ბრძანდებით...**

— მე არ მითქვამს, უკმაყოფილო ვარ-მეთქი, უბრალოდ, ვიცი მათი პოტენცია და, რაც გააკეთეს, იმაზე მეტს ველოდი. მეორე მხრივ, ამასაც თავისი ახსნა გააჩნია, გუნდში ყველაფერი რომ ნორმალურად ყოფილიყო, ბიჭებიც სხვანაირად ითამაშებდნენ, ვიმეორებ, ისინი ძირითადად ენთუზიაზმის ხარჯზე თამაშობდნენ. ასეთ მდგომარეობაში კი ბევრს ნამდვილად ვერ მოითხოვ, სხვა თუ არაფერი, სინდისი შეგაწუხებს.

— **თავდასხმისათვის 11 გატანილი გოლი ძალიან ცოტა ხომ არ არის?**

— თავიდან თავდასხმაში ორი ძალიან კარგად შეთამაშებული ფეხბურთელი — მარლიშვილი და ხორგუაშვილი გამოდიოდა, საქმეც რიგზე იყო, მაგრამ მეხუთე ტურში ზურაბ ხორგუაშვილი დაშავდა და როინს თითქმის მარტოს მოუწია მეტოქის მცველებთან ბრძოლა, ასე რომ, ის თერთმეტიც ბევრად მიმაჩნია. არადა, ხორგუაშვილმა ჩინებულად დაიწყო — 4 მატჩში 4 გოლი. კიდევ კარგი, მცველებმა გვიშველეს, თავდამსხმელების და ნახევარმცველების მონაგარს თავიანთ წილად 7 გოლი დაუმატეს.

— **„დილას“ ტრადიციულად ცოტა გაქვს. ეს თამაშის ყაიდის გამოა თუ სხვა მიზეზები არსებობს?**

— არის თამაშები, როდესაც ჩვენი გუნდი დაცვით, კონტრშეტევებზე აგებულ ტაქტიკას მიმართავს. ისე არ გაგვიგოთ, თითქოს ყველა მატჩზე ამგვარ სქემას ვირჩევთ. შინ ჩატარებულ მატჩებში „დილა“ უმეტესწილად სამი მცველით თამაშობდა და აქცენტს შეტევებზე აკეთებდა. მიზეზი, ჩემი აზრით, საგოლე მომენტების გამოუყენებლობაშია, რაზეც დიდი მუშაობა გვმართებს.

— **წრის ყველა თამაში ერთი მეკარით ჩაატარეთ. თუ გყავთ გუნდში მეორე მეკარე, რომელიც მას კონკურენციას გაუწევს?**

— რა თქმა უნდა, როგორც ყველა ნორმალურ გუნდს, ჩვენც გვყავდა მეორე მეკარე დათო მაისურაძე. არ ვიცი რატომ, მაგრამ მას მაინცდამაინც სეზონის დაწყების წინ მოუნდა სხვა გუნდში გადასვლა, ვარჯიშებს ხშირად აცდენდა, იძულებულები გავხდით გუნდიდან დაგვეთხოვა. ერთი მეკარით თამაში დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, ჩვენც გორის მინი-ფეხბურთის კლუბიდან მოვიწვიეთ მეკარე დათო მდივანი. ყველამ იცის, რა ძნელია პარკეტიდან მინდორზე გადაეწყო, ამას შეიძლება წელიც დასჭირდეს, ამიტომ ჩვენს ძირითად მეკარეს კონკურენცია არ უგვრძნია, მაგრამ რამაზ სოლოლაშვილმა იცის თავისი საქმე და თავგამოდებითაც ვარჯიშობს. მასთან საპრეტენზიო ნამდვილად არაფერი გვაქვს.

— **მიუხედავად ზემოთქმულისა, თელავში მატჩის შემდეგ მხოლოდ მეკარეს დაუწერეთ ნიშანი ორი, დანარჩენებს კი მაღალი შეფასება მიეცით...**

— ამ მატჩში მან ტრავმირებულმა და სიცხიანმა ითამაშა, თანაც პირველი გოლი მის სინდისზე იყო, ამას თვადაც გრძნობდა და ნერვიულობდა. ეს ყველაფერი ერთმანეთს დაემატა და საკუთარ თავზე კონტროლი დაკარგა, თამაშიც ვერ გამოუვიდა ისეთი, როგორიც სჩვევია, მაგრამ ამ ერთი თამაშის გამო თავდადებას და დამსახურებას ნუ დავუკარგავთ. მით უმეტეს, რომ მაინც არ წაგვიგია, მატჩი ფრედ — 2:2 დამთავრდა.

— **„დილამ“ პირველ წრეში სამი გაფრთხილება მიიღო. საიდან ასეთი კორექტულობა?**

— ჩვენს გუნდში ეს ტრადიციად იქცა, დისციპლინას დიდი ყურადღება ეთმობა. წინა ჩემპიონატში ამ მხრივ ერთ-ერთი საუკეთესონი ვიყავით. სხვათა შორის, სამივე გაფრთხილება გორში მივიღეთ. თითოეულმა ფეხბურთელმა კარგად იცის, რომ მსაჯი მინდორზე შეუვალია. თუ რამ საპრეტენზიო გვექნება, ამისათვის გუნდის წარმომადგენელი იზრუნებს. ფეხბურთელების საქმე ბურთის გორება და გოლის გატანაა, მსაჯთან მათ არაფერი ესაქმებათ.

— **წრის ბოლო თამაშში „ეგრისთან“ საპირისპირო ჩანდა; თქვენი ფეხბურთელები მსაჯს საკმაოდ ეკამათებოდნენ...**

— ამ შემთხვევაში ფეხბურთელებს ვერ დავადანაშაულებ. იმ ხანებში კლუბში არანორმალური ვითარება იყო. ბიჭებს ანაზღაურება რამდენიმე თვე არ მიეღოთ, მათ თამაშზე გასვლაც არ უნდოდათ. ბოლოს ჩვენი პრეზიდენტის ნოდარ დალაქიშვილის თხოვნით და გულშემატკივრების პატივისცემით გამოვიდნენ ნერვებდაწყვეტილები. დამეთანხმებით, ასეთ დროს კორექტულობა ძნელი მოსათხოვია.

— **იმ შეხვედრისას არც მაყურებელი ჰგავდა მამა აბრამის ბატკანს...**

— ეს უკვე ფეხბურთელების სინდისზე იყოს. გუნდი, რომელსაც ამდენი საგოლე მომენტი ექნება და ვერ გამოიყენებს, ნამდვილად დასჯის ღირსია. სწორედ ამიტომ გულშემატკივარიც ემოციებს აჰყვა. თორემ გორში ნამდვილად იციან ლამაზი ფეხბურთის ყადრი, მრავალჯერ ყოფილა, ჩვენს მაყურებელს სტუმრები ტაშით გაუცილებია ლამაზი თამაშისათვის. საერთოდ, ჩვენი გულშემატკივრები ნამდვილი ფანატიკოსები არიან, ზოგიერთი საკუთარი ხარჯებით გასვლით თამაშებზეც კი დაგვყვება. დღევანდელ დღეს გორში ფეხბურთი და თეატრი თუ დარჩა ხალხს გასართობად და ამის დაკარგვა მათთვის კატასტროფა იქნება.

— **„დილამ“ შინ ჩინებულად ითამაშა, რასაც ვერ ვიტყვით სტუმრად ჩატარებულ შეხვედრებზე. სტუმრად თამაშის კომპლექსი ხომ არ გაგიჩნდათ?**

— გარკვეული კომპლექსი მართლაც გაგვაჩნია, არ ვიცი რატომ, მაგრამ სტუმრად ფრეზეც ყაბულს ვიყავით და მიღწევად ვთვლიდით. ამ სენისაგან თავის დასაზხნელად დიდი მუშაობა გვმართებს. თან მეორე პრობლემაც არსებობს: გასვლით მატჩზე თამაშის დღეს მივდივართ, იმ საკვებს, რომელსაც ბაზარში ვყიდულობთ და თან მიგვაქვს, ბიჭებს ავტობუსში ვაჭმევთ, ტრანსპორტიც მოძველებულია და ხშირად ფუჭდება, ამიტომ ხშირად პირდაპირ ავტობუსიდან გავდივართ მინდორზე. რა თქმა უნდა, ფეხბურთელები ძალიან იღლებიან, შედეგიც შესაბამისია, მაგრამ, ვიმეორებ, ეს მეორეხარისხოვანი პრობლემაა, თავი და თავი მაინც ის კომპლექსია, ზემოთ რომ ვთქვით.

— **ფოთში „კოლხეთთან“ სათამაშოდ კი ჩახვედით, მაგრამ უთამაშებლად წაგება ჩაგეთვალათ...**

— ფოთში თამაში 16 საათზეა იყო დანიშნული. ჩვენც ისეთ დროს გავემგზავრეთ გორიდან, რომ თამაშზე ჩასვლას თავისუფლად ვასწრებდით. სამწუხაროდ, გზაში ავტობუსი გაგვიფუჭდა, ამიტომ გუნდის ადმინისტრატორი დავაწინაურეთ, რათა მასპინძლები გაგვეფრთხილებინა. ფოთში რომ ჩავედით, ხუთს ათი წუთი აკლდა, მატჩის კომისარმა, დებულების თანახმად, თამაშის ნება არ დაგვრთო, მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლები არავითარ პრეტენზიას არ აცხადებდნენ და მზად იყვნენ გვეთამაშა. სტადიონზე მრავლად მყოფი მაყურებელიც თამაშის ჩატარებას ითხოვდა, არც მანუჩარ მაჩაიძის თხოვნამ გაჭრა — წესების დაცვა ყველას გვმართებს, კანონის დაცვა უზენაეს პრინციპად უნდა იქცეს, სხვაგვარად არაფერი გამოგვივა.

— **„დილამ“ პირველი წრე სტაბილური შემადგენლობით კი ჩაატარა, მაგრამ ერთი ფეხბურთელის ამოვარდნაც კი პრობლემებს ქმნიდა გუნდის თამაშში. აშკარაა, სათადარიგოთა სკამი ცარიელია...**



— მართალი ბრძანდებით, ძირითადში მოთამაშეთა სრულფასოვანი შემცვლელები ჯერ-ჯერობით ვერ ვიპოვეთ. ზურაბ ხორგუაშვილის მაგალითი ავიღოთ: დაშავდა თუ არა, თავდამხმაში თამაში აგვერია, შედეგიანობამაც იკლო. რამდენიმე ახალბედა გამოვცადეთ, მაგრამ ვერ გაამართლეს. არადა, იმის საშუალებაც არ გვქონდა, ვინმე სხვა მოგვეწვია. დანარჩენები კი, მართალია, ნიჭიერები არიან, მაგრამ ჯერ კიდევ ახალგაზრდები გახლავან და გამოცდილებაც აკლიათ.

— **ჩემპიონატის ლიდერებთან შეხვედრები გაიხსენეთ. მათგან უპირატესობას რომელს ანიჭებთ?**

— მოდით, იმ თამაშებით დავიწყოთ, რომლებიც გორში ჩავატარეთ. ზესტაფონის „მარგვეთს“ ჩემპიონატის პირველ მატჩში შევხვდით და მიუხედავად იმისა, რომ კარგი გუნდია, ყველა ასპექტში ვაჯობეთ. პირველ ნახევარშივე 4:1 ვიგებდით. მართალია, სტუმრებმა მეორე ნახევარში ანგარიშში სხვაობა შეამცირეს, მაგრამ მეტის გაკეთება ვერ შესძლეს.

„სამტრედიამ“ ყველაზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. თამაშს ვაგებდით, მაგრამ ბალაშვილის ინდივიდუალური ოსტატობის წყალობით შევძელით ქულის გადარჩენა. სამტრედიელები აქი „მწარეს“ გვეძახიან. აქვე ვიტყვი, რომ ლიდერებთან თამაში უფრო გამოგვდიოდა. ერთი სიტყვით, იმ დღეს ჩინებულად მოთამაშე „სამტრედიასთან“ უბრალოდ გაგვიმართლა.

ბათუმელები რომ გვესტუმრნენ, ცოტა არ იყოს, ნერვიულად დაიწყეს თამაში, ჩვენებს კი პირიქით — თამაში წაუვიდათ, თანაც სტუმრებს მოთამაშეც გაუძევს, რამაც გარკვეული უპირატესობა მოგვცა. ბათუმელებს რამდენიმე წამყვანი მოთამაშეც აკლდათ, ევროთასებზე ასპარეზობასაც იმხანად გამოეთიშნენ, ყველაფერი ერთმანეთს დაერთო და თამაში მოვიგეთ.

ქუთაისის „ტორპედოსთან“ თამაში ყველაზე სამახსოვრო გამოდგა. „დილამ“ პირველი წრის საუკეთესო მატჩი ითამაშა: თითქმის განწირულები ვიყავით წაგებად, მაგრამ ბიჭებმა ყველაფერი გაიღეს, ბოლომდე იბრძოლეს და 1:2-ზე ანგარიში გაათანაბრეს, შემდეგ კი გამარჯვების გოლიც გაიტანეს. ბოლომდე მართალი არ ვიქნები, თუ არ ვიტყვი იმას, რომ იმ დღეს ბედი აშკარად „დილას“ სწყალობდა.

რუსთავში „მეტალურგმა“ დიდი ანგარიშით 1:5 დაგვამარცხა და სათქმელიც რა უნდა გვქონდეს, მაგრამ 0:0-ზე ორი უნდღესი საგოლე მომენტი გავაცუდეთ, თან რევაზიშვილმა ტრავმა მიიღო, რამაც გარკვეული ცვლილებები გამოიწვია ჩვენს სამოქმედო გეგმაში, ტაიმის მიწურულს გაშვებულმა ორმა გოლმა კი მთლად ბოლო მოგვიღო. მიუხედავად ამისა, ვთვლი, რომ რუსთაველებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს და პირწმინდად დაგვჯაბნეს.

რაც შეეხება „დინამოსთან“ 0:1-ით წაგებულ თამაშს, გუნდმა ეს შეხვედრა ყველა გასვლით მატჩზე უკეთ ჩაატარა. თავიდანვე დაცვითი ვარიანტი ავირჩიეთ და მეტოქეს ხისტი ფეხბურთი შევთავაზეთ. თბილისელები მთელი თამაშის მანძილზე გვიტევდნენ, მაგრამ კარის აღება მხოლოდ ერთხელ მოახერხეს. ის კი არა, თამაშის ბოლოს რეალური საგოლე მომენტი გავუშვით ხელიდან. ამ მატჩმა დაგვანახა, რომ „დილას“ „დინამოს“ კომპლექსი თითქმის მოეხსნა.

ჩემპიონობის რეალური პრეტენდენტი, ჩემი აზრით, მხოლოდ ორია — „დინამო“ და „სამტრედია“. გავიგე, სამტრედიელებს ბლომად პრობლემები გასჩენიათ და ცოტა არ იყოს გაურკვეველი სიტუაცია აქვთო, „დინამოს“ კი პირიქით, უპრობლემოდ აგრძელებენ მეორე წრისთვის მზადებას, თან ყიზილაშვილის სახით სერიოზული ძალაც დაიმატა. მაპატიონ დანარჩენებმა, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ ამ ორი გუნდის დავაში ვერ ჩაერევიან.

— **მიღწეულით კმაყოფილი თუ ხართ და კანონზომიერად თუ თვლით დაკავებულ მერვე ადგილს?**

— კლუბის ხელმძღვანელობა თავიდან მაღალ ადგილს გეგმავდა, მაშინ შედარებით კარგი პირობები გვქონდა და იმედებიც გაგვაჩნდა, მერე და მერე კი ყველაფერი აირია, მაგრამ ამის მიუხედავადაც უკეთესად გამოსვლაც შეგვეძლო, თუმცა ძირითადად მიღწეულით კმაყოფილები ვართ და შედეგსაც კანონზომიერად ვთვლით.

— **გუნდში რაიმე ცვლილებები ხომ არ არის მოსალოდნელი?**

— ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც ჩემთან მოვიდა და წასვლა მთხოვა, როინ მარლიშვილია. იგი რუსეთს გაემგზავრა კალუგის გუნდში გასასინჯად. დანარჩენთაგან ჯერ-ჯერობით არავის მოუმართავს და გუნდში ირიცხებიან.

— **ზემოთ გასაჭირი და პრობლემები ახსენეთ. ძირითადად რაში გამოიხატება გუნდის სიდუხჭირე?**

— ყველაფრის თავი და თავი ფინანსური გასაჭირია. ამ პრობლემამ ლამის ბოლო მოგვიღოს. ბიჭებს პირველი წრის კუთვნილი თანხა ჯერაც არ მიუღიათ. დავალიანების ნახევარი ქალაქის ხელმძღვანელობამ დაგვაფარინა და დარჩენილის გადახდასაც შეგვპირდა. ქალაქის გამგებელი დავით ქობლიანიძე ამ მხრივ მხარში ამოგვიდგა, მაგრამ ჯერ-ჯერობით გაურკვეველია, მეორე წრეში რა გვეშველება. ოფიციალური სპონსორი არ გვყავს, მთელი ადრინდელი ხარჯები მხოლოდ კლუბის პრეზიდენტის ნოდარ დალაქიშვილის მხრებზე გადადიოდა, ერთი კაცი კი რას გაწვდება ყველაფერს. ჩვენი თხოვნა იქნება, ნახევრად მუნიციპალურ ბიუჯეტში მაინც ჩაგვსვან, როგორც ბევრ ევროპულ ქვეყანაშია მიღებული, ხოლო დანარჩენ ნახევარს თავად კლუბი მოუვლის. ამ პრობლემის გამო ნორმალურად ვარჯიშიც ვერ დაგვიწყია. მოკლედ, ჯერ გაურკვეველ სიტუაციაში ვიმყოფებით, ალბათ უახლოეს ხანში გადაწყდება ყველაფერი.

— **თუ ასე იყო საქმე, პირველ წრეში თავი როგორღა გაიტანეთ. დავიჯეროთ, მარტო ერთი კაცი ზრუნავდა გუნდზე?**

— ძირითადად ასე იყო. ნოდარ დალაქიშვილმა შეძლებისდაგვარად ყველაფერი იღონა, ერთხელ ცნობილი მოჭიდავე ანზორ ქიბროწაშვილიც დაგვეხმარა ფინანსურად, რა თქმა უნდა, ფეხბურთელებიც ყველაფერს გაგებით მოეკიდნენ და, კიდევ გავიმეორებ, თითქმის ენთუზიაზმის ხარჯზე ჩაამთავრეს მთელი სეზონი.

— **დასასრულ ზოგადად წლევანდელი ჩემპიონატი შევაფასოთ...**

— ერთს თამამად ვიტყვი, მეორე წრე ძალიან დაბალი გვექნება, ასეთი კონკურენცია ეროვნულ ჩემპიონატში 1990 წელსაც არ მახსოვს. მაშინ თავად ვთამაშობდი და მახსოვს, რა ძლიერი გუნდები გვყავდა. დონე შედარებით დაეცა, მაგრამ ეს წამყვანი ფეხბურთელების საზღვარგარეთ წასვლითაა გამოწვეული, თან ჩვენი ჩემპიონატისთვის 12, ჰა-ჰა 14 გუნდი მაქსიმუმი უნდა იყოს, 16 ძალიან ბევრია. უკვე გამოიკვეთა 8-9 გუნდი, რომლებმაც პირველ ჯგუფში დარჩენა თითქმის გაინაღდეს, დანარჩენებმა კი უნდა იბრძოლონ. არის თამაშები, როცა გამარჯვებული წინასწარვე შეგიძლია დაასახელო. როცა ასეთი თამაშები არ გვექნება, დონეც ამაღლდება და ჩემპიონატიც საინტერესო გვექნება.

ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲙᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ

გორი — თბილისი

**დილა გორი**

1. მარგვეთი 4:2 (4:1) შინ
2. შევარდენი 0:3 (0:1) სტუმრად
3. ივერია 4:1 (2:0) შინ
4. კახეთი 2:2 (1:1) სტუმრად
5. გურია 2:0 (0:0) შინ
6. დურუჯი 1:0 (0:0) სტუმრად
7. სიონი 3:0 (1:0) შინ
8. დინამო 0:1 (0:0) სტუმრად
9. სამტრედია 1:1 (0:0) შინ
10. კოლხეთი 0:3 (წაგება ჩაეთვალა)
11. ბათუმი 2:0 (0:0) შინ
12. ზუგდიდი 0:1 (0:0) სტუმრად
13. ტორპედო 3:2 (1:1) შინ
14. მეტალურგი 1:5 (0:2) სტუმრად
15. ეგრისი 4:3 (1:2) შინ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულ | 15 | 8 | 2 | 5 | 27-24 | 26 |
| შინ | 8 | 7 | 1 | 0 | 23-9 | 22 |
| სტუმრად | 7 | 1 | 1 | 5 | 4-15 | 4 |



სატურნირო მდგომარეობა ტურების მიხედვით (თარაზულად — ტურის ნომერი, შვეულად — ადგილი სატურნირო ცხრილში)

**პირველ წრეში თამაშობდნენ**

| | თამაში | გოლი | გაფრთხ. |
|---|---|---|---|
| მეკარე | | | |
| რამაზ სოლოლაშვილი | 14 | -21 | - |
| მცველები | | | |
| გიორგი ბალაშვილი | 14 | 2 | - |
| გიორგი ლომიძე | 14 | 2 | 1 |
| ვაჟა თარხნიშვილი | 14 | - | - |
| ჯამბულ გაგნიძე | 12 | 3 | - |
| ხვიჩა გაგნიძე | 11 | - | - |
| პაატა ფეზუაშვილი | 1 | - | - |
| ნახევარმცველები | | | |
| გიორგი ნკრიალაშვილი | 14 | 1 | 1 |
| ჯიმშერ მარეხაშვილი | 14 | 5 | - |
| თამაზ ციცქიშვილი | 14 | 2 | 1 |
| გიორგი რევაზიშვილი | 13 | 1 | - |
| შალვა ტაბატაძე | 12 | - | - |
| ბაადურ ჯალაბაძე | 4 | - | - |
| გოჩა ხაჭაპურიძე | 4 | - | - |
| ალექსანდრე კაიდარაშვილი | 3 | - | - |
| თავდამსხმელები | | | |
| როინ მარლიშვილი | 14 | 7 | - |
| ზურაბ ხორგუაშვილი | 5 | 4 | - |

# ვეას ნობელის პრემიალა აკლია

 წინა „სარბიელში“ გაუწყეთ, ლიბერიელ ვეას, აქამდე ყველა არსებული პრიზის გარდა, ფიფას ვერსიით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელობაც რომ ერგო. დღეს შესაძლებლობა გვაქვს ყველა, 95 გამოკითხული მწვრთნელის აზრიც გაგაცნოთ, თუმცა მანამდე ერთსაც ვიტყვით:

ფიფა ამ გამოკითხვას 1991 წლიდან ატარებს და მისი შედეგები ისევე საინტერესოა, როგორიც მანამდე არსებული რეფერენდუმებისა, თუმცა მკითხველი არ უნდა გააოცოს იმან, რომ სხვადასხვა გამოცემები ხშირად სხვადასხვა ლაურეატებს ასახელებენ. ლოგიკა ერთობ მარტივია: ესა თუ ის ჟურნალ-გაზეთი თავის სუბიექტურ აზრს კი არ გამოთქვამს, არამედ წარმოგვიდგენს მის მიერ გამოკითხულ ადამიანთა ვერსიების ჯამს და ამის მიხედვით ვლინდება ამა თუ იმ გამოკითხვის გამარჯვებული. ამჟამად, ჩვენს კონტინენტსა და მთლიანად მსოფლიოზე თუ ვიტყვით, არსებობს სამი ყველაზე პოპულარული რეფერენდუმი: ფრანგული „ფრანს ფუტბოლისა“, ინგლისური „უორლდ სოკერისა“ და ფიფასი, რომელსაც ეს ორგანიზაცია სხვადასხვა წელს სხვადასხვა გამოცემასთან ატარებს (წლეულს იტალიურ „გაძეტა დელო სპორტს“ შეუამხანაგდა). ამ სამი გამოკითხვის გამარჯვებული ხან ერთიდაიგივე ფეხბურთელია, ხანაც სხვადასხვა და ეს გასაგებია კიდეც. უფრო მარტივად რომ ავხსნათ, წლევანდელი გამოკითხვების მიმდინარეობას გავიხსენებთ: „ფრანს ფუტბოლი“ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენ კონკურსში ყველა ევროპული ქვეყნის თითო გამოცემას ეკითხება აზრს. საქართველოდან შარშან და წლეულს ამ გამოკითხვაში „სარბიელი“ მონაწილეობდა. საბოლოო შედეგებით აქ ვეამ იმარჯვა, ე.ი. ჟურნალისტების აზრით, ვეა საუკეთესოა ევროპაში; ასეთივე შედეგი მოგვცა ფიფას გამოკითხვამ, მაგრამ აქ მსოფლიოს 95 ეროვნული ნაკრების მწვრთნელები ასახელებდნენ რჩეულებს. საქართველოდან, ცხადია, ამ გამოკითხვაში ჩვენმა და თქვენმა ნაცნობმა ალექსანდრე ჩივაძემ მიიღო მონაწილეობა; აი, „უორლდ სოკერის“ გამოკითხვაში კი, ძნელია თქვა, ვინ „წარადგინა“ საქართველო. ერთი მონაწილე ვიცი — ჩემი მეზობელი, ქურთი ვალოდია, ვინაიდან ეს ინგლისური ჟურნალი თავის მკითხველთა ანუ გულშემატკივართა გამოკითხვას ატარებს. ვალოდიამაც, „ვიალი კაპიტანი“, თქვა, თავისი ნაზრევი ლონდონს გააგზავნა და... გაარტყა კიდეც. ისევე, როგორც საბოლოოდ საუკეთესოდ დასახელებული „აიაქსი“ და მისი მწვრთნელი ვან გაალი. მოკლედ, „უორლდ სოკერისა“ და „ფრანს ფუტბოლის“ რჩეული რომ არ დაემთხვეს, ამის დიდი შანსია — სად სპეციალისტის ნათქვამი და სად — ქურთი და თუნდაც ინგლისელი გულშემატკივრისა.

ახლა ისევ ფიფასეულ გამოკითხვას დავუბრუნდეთ. თვალსაჩინოებისთვის მწვრთნელები, უფრო სწორად, ის ქვეყნები, რომელთა ნაკრებებსაც ისინი წვრთნიან, გეოგრაფიული პრინციპით დავალაგეთ.

**ზურაბ მეძველია**

### ევროპა

| | | | |
|---|---|---|---|
| ავსტრია (ჰერბერტ პროჰაზკა) | სამორანო | ზამერი | პოლსტერი |
| აზერბაიჯანი (ყაზბეგ თუაევი) | ვეა | ოვერმარსი | ზამერი |
| ალბანეთი (ნეპტუნ ბაიკო) | მალდინი | ვეა | დელ პიერო |
| ბელარუსი (სერგეი ბოროვსკი) | ვეა | ლაუდრუპი | სამორანო |
| ბელგია (პოლ ვან ჰიმსტი) | ბაჯო | ვეა | ფინიდი |
| ბულგარეთი (დიმიტარ პენევი) | სტოიჩკოვი | ბალაკოვი | პენევი |
| გერმანია (ბერტი ფოგტსი) | კლინსმანი | ზამერი | ვეა |
| დანია (რიჭარდ მიოლერ-ნილსენი) | ზამერი | სამორანო | ლიტმანენი |
| ესპანეთი (ხავიერ კლემენტე) | იერო | ნადალი | სუბისარეტა |
| ესტონეთი (რომან უბაკივი) | ძოლა | მალდინი | კლინსმანი |
| თურქეთი (ფათიჰ თერიმი) | რომარიო | მალდინი | სამორანო |
| ინგლისი (ტერი ვენეიბლზი) | ბაჯო | დელ პიერო | კლინსმანი |
| ისლანდია (ასგეირ ელიასონი) | ოვერმარსი | მალდინი | რიიკარდი |
| ისრაელი (შლომო შარფი) | ლიტმანენი | ვეა | შუკერი |
| იტალია (არიგო საკი) | მალდინი | ძოლა | ვეა |
| კვიპროსი (ანდრეას მიხაელიდესი) | დე ბური | იერო | ჟინოლა |
| ლატვია (იანის გილისი) | ვეა | კლინსმანი | სამორანო |
| ლიტვა (ბენიამინ ზელკიავიჩუსი) | ვეა | ეფენბერგი | ბაჯო |
| ლიხტენშტეინი (დიტრიხ ვაიზე) | ვეა | ზამერი | ბერხკამპი |
| ლუქსემბურგი (პოლ ფილიპი) | სავიჩევიჩი | ვეა | ოვერმარსი |
| მაკედონია (ანდონ დონჩევსკი) | სტოიჩკოვი | ბალაკოვი | ვეა |
| მალტა (პიეტრო გედინი) | მალდინი | ვეა | დელ პიერო |
| მოლდოვა (იონ კარასი) | ზამერი | მალდინი | ვეა |
| ნორვეგია (ეგილ ოლსენი) | ციმბალარი | სამორანო | რიისე (?!) |
| პოლონეთი (ჰენრიკ აპოსტელი) | რონალდო | სავიჩევიჩი | იუსკოვიაკი |
| პორტუგალია (ანტონიო ოლივეირა) | ვიტორ ბაია | ფიგუ | რუი კოშტა |
| რუმინეთი (ანგელ იორდანესკუ) | ვეა | პოპესკუ | მალდინი |
| რუსეთი (ოლეგ რომანცევი) | ვეა | ბებეტო | მალდინი |
| საბერძნეთი (კოსტას პოლიქრონიუ) | რომარიო | ვეა | გიგზი |
| სან მარინო (ჯორჯო ლეონი) | დელ პიერო | ოვერმარსი | ბარეზი |
| საფრანგეთი (ემე ჟაკე) | ვეა | დესაი | მალდინი |
| საქართველო (ალექსანდრე ჩივაძე) | ძოლა | ვეა | კლინსმანი |
| სლოვაკეთი (იოზეფ იანკესი) | იებოა | კლინსმანი | ბერხკამპი |
| სლოვენია (ზდენკო ვერდენიკი) | ვეა | ძოლა | სამორანო |
| სომხეთი (სამველ დარბინიანი) | ლაუდრუპი | ვიალი | ოვერმარსი |
| უელსი (ბობ გოულდი) | კლინსმანი | შირერი | ჟინოლა |
| უნგრეთი (კალმან მესეი) | ვეა | ბერხკამპი | ბაჯო |
| ფარერები (ალან სიმონსენი) | სტოიჩკოვი | ასპრილია | ძოლა |
| ფინეთი (იუკა იკალაინენი) | ლიტმანენი | ლაუდრუპი | რიიკარდი |
| შვედეთი (ტომი სვენსონი) | ვეა | სამორანო | ბატისტუტა |
| შვეიცარია (როი ჰოჯსონი) | ბაჯო | მალდინი | სფორცა |
| შოტლანდია (კრეიგ ბრაუნი) | მალდინი | რომარიო | ბატისტუტა |
| ჩეხეთი (დუშან უგრინი) | ვეა | ზამერი | ბერხკამპი |
| ჩრდ. ირლანდია (ბრაიან ჰემილტონი) | ვეა | ბატისტუტა | კლინსმანი |
| ხორვატია (მიროსლავ ბლაჟევიჩი) | ბობანი | შუკერი | დესაი |
| ჰოლანდია (გუს ჰიდინგი) | ვეა | ძოლა | კლინსმანი |

როგორც ხედავთ, ჩვენი კონტინენტის ნაკრებთა მწვრთნელები ვეას მაინცდამაინც არ წყალობენ: 46-დან თითქმის ნახევარს (22-ს) ლიბერიელი საერთოდ არ შეუყვანია სამეულში. აღსანიშნავია, რომ შარშანდელივით, ბულგარეთის მწვრთნელმა პენევმა და ესპანელმა კლემენტემ მხოლოდ თავიანთი მოთამაშეები მიიჩნიეს სამეულის ღირსად. რაც შეეხება ჩივაძეს, მისი სამეული დაემთხვა ჰოლანდიელი ჰიდინგის სამეულს, ოღონდ ძოლასა და ვეას ადგილები სხვადასხვანაირად არგუნეს. გაგვაოცა ნორვეგიელთა მწვრთნელმა: ამას ციმბალარზე კარგი ფეხბურთელი თურმე მსოფლიოში არ ეგულება, მესამე ადგილზე კი თვისტომი მანდილოსანი ფეხბურთელი დაასახელა.

### აზია

| | | | |
|---|---|---|---|
| ბანგლადეში (აბდულ რაჰიმი) | კლინსმანი | ჟუნინიო | ვიალი |
| იაპონია (კამო სიუ) | კარლოსი | ვეა | ლიტმანენი |
| იორდანია (აიზექ ჰამზე) | ვეა | დელ პიერო | სტოიჩკოვი |
| ირანი (ჰასან ჰაბიბი) | ვეა | რავანელი | ჟუნინიო |
| კორეა (ანატოლი ბიშოვეცი) | რავანელი | პაულუ სოუზა | კლინსმანი |
| ლიბანი (ტერი იორატი) | ჟუნინიო | რავანელი | კლინსმანი |
| მაკაო (უილიამ ლეიტე) | ბაჯო | კანტონა | პლიუდომი |
| მალაიზია (კლოდ ლე როი) | ვეა | მალდინი | კლინსმანი |
| ომანი (იოზეფ ვენგლოში) | ვეა | კლინსმანი | იერო |
| საუდის არაბეთი (ჟორჟე ბარუში) | რომარიო | ბაჯო | ჟუნინიო |
| ტაივანი (ჟენ-შენ ხუა) | ბაჯო | ბებეტო | რომარიო |
| ყაზახეთი (ყურბან ბერდიევი) | სტოიჩკოვი | რომარიო | რონალდო |
| ყატარი (დევიდ მაკკეი) | ვეა | კლინსმანი | ბარეზი |
| ყირგიზეთი (მექლის კოშალიევი) | კლინსმანი | სტოიჩკოვი | ციმბალარი |
| შრი ლანკა (ჟორჟე ფიორფრე) | ბაჯო | მალდინი | გიგზი |
| ჩინეთი (ვუ-შენ კი) | ბატისტუტა | კლინსმანი | სტოიჩკოვი |
| ჰონკონგი (ლუამ-ხენ კო) | რომარიო | ჟუნინიო | კლინსმანი |

ამ რეგიონში ერთობ პოპულარული ყოფილა რავანელი, რომელიც სხვა კონტინენტების მწვრთნელებს არც გახსენებიათ.

### აფრიკა

| | | | |
|---|---|---|---|
| ბენინი (ედმე კოჯო) | რომარიო | ბაჯო | ვეა |
| ბურკინა-ფასო (ტრაორე მალო) | რომარიო | სტოიჩკოვი | ჰაჯი |
| კენია (მოჰამედ ჰეირი) | ვეა | იებოა | ამუნიკე |
| ლიბერია (ვილფრედ ლარდნერი) | ვეა | დება | ნაგბე |
| მავრიკეთი (ჟან ბენეზე) | ვეა | მალდინი | სავიჩევიჩი |
| მაროკო (ანრი მიშელი) | მალდინი | ვეა | დესაი |
| სეიშელი (ულრიკ მეტიუ) | ვიალი | ჟუნინიო | კლინსმანი |
| სვაზილენდი (არმანდუ ფერეირა) | კლინსმანი | ჰაჯი | ამუნიკე |
| სიერა-ლეონე (როჯერ პალმგრენი) | ვეა | კლინსმანი | რიიკარდი |
| სომალი (მოჰამედ აჰმედი) | ვეა | მალდინი | ნდორამი |
| სპილოს ძვლ. (პიერ პლაიმელდინგი) | მალდინი | ბარეზი | ვეა |
| ტუნისი (ჰენრიკ კასპერჩაკი) | მალდინი | ოვერმარსი | ვეა |

აქ ყველაფერი გასაგებია, მაგრამ მაინც გამოვყოფთ ბურკინაფასოელი მწვრთნელის არჩევანს: ამან, ვგონებთ, 1994 წელს გაგზავნა წერილი, რომელმაც ფიფამდე ახლაღა ჩააღწია — ეს სამეული შარშანწინ იყო გამორჩეული.

### ჩრდილო ამერიკა და კარიბეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| აშშ (სტივ სემპსონი) | კლინსმანი | სტოიჩკოვი | ბაჯო |
| იამაიკა (რენე სიმოესი) | ბებეტო | ბროლინი | ლაუდრუპი |
| კანადა (ბობ ლენარდუზი) | ჟუნინიო | ვეა | ფინიდი |
| კოსტა-რიკა (როხას სუბიო) | ბაჯო | რომარიო | ბებეტო |
| მექსიკა (ბორა მილუტინოვიჩი) | ბატისტუტა | ვეა | სავიჩევიჩი |
| პუერტო-რიკო (ქრის ვაკარო) | ჟუნინიო | სამორანო | მალდინი |
| სენტ-ლუსია (ჯონ ჟაკი) | რომარიო | ბარეზი | დე ბური |
| ტრინიდადი (ზორან ვრანეში) | ლეტეიპი | ნაკიდი | ივი |

მომავალი გამარჯვებული პირველად არავინ დაასახელა, თვით ვეას ცოლოურის ქვეყანა იამაიკამაც კი. ტრინიდადის მწვრთნელი კი მთლად ნამუსგარეცხილი ყოფილა: „პორტუში“ მოთამაშე ტრინიდადელი რასელ ლეტეიპი ხომ პირველია, მაგრამ არც ჩვენივე ნაკიდი და ივი ჩამორჩებიან ნამეტანიო.

### სამხრეთი ამერიკა

| | | | |
|---|---|---|---|
| არგენტინა (დანიელ პასარელა) | დევიდსი | მალდინი | ბატისტუტა |
| ბოლივია (დუშან დრაშკოვიჩი) | სამორანო | სავიჩევიჩი | ჟუნინიო |
| ბრაზილია (მარიო ზაგალო) | ბებეტო | რონალდო | ალდაირი |
| პარაგვაი (ლადისლაო კუბალა) | ბაჯო | სტოიჩკოვი | ლაუდრუპი |
| პერუ (ხუან საბა) | სამორანო | ლაუდრუპი | ბატისტუტა |
| ურუგვაი (ექტორ ნუნიესი) | ფრანჩესკოლი | ლაუდრუპი | მალდინი |
| ჩილე (ხავიერ ასკარგორტა) | სამორანო | იერო | ლაუდრუპი |

ზაგალომ შარშანდელივით სამივე ლაურეატად თავისიანები სცნო, პასარელამ კი ერთობ ორიგინალური აზრი გამოთქვა და მსოფლიოს უპირველეს ფეხბურთელად დაასახელა „აიაქსელი“ არტურ დევიდსი, ვინც გასულ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში „ბაიერნთან“ მოედანზე სათვალეებით გამოსვლით დაგვამახსოვრა თავი. საერთოდ კი, ამ კონტინენტზე, ვგონებთ, საერთოდ არ იციან, ვინ არის ვეა.

### ზღვისრეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| ავსტრალია (ედვარდ ტომპსონი) | მალდინი | ვეა | ჟუნინიო |
| ახალი ზელანდია (ბობი კლარკი) | მალდინი | ვეა | ფრანჩესკოლი |
| ტაიტი (ჟერარ კოტე) | ვეა | გრენი | კელერი |
| ტონგა (ჯეიმს ფასი) | რომარიო | ბარეზი | ბ. ლაუდრუპი |
| ფიჯი (ბილი სინგჰი) | ამოკაში | შირერი | ბატისტუტა |

შენიშვნა: ლაუდრუპი ყველგან მიქაელია, ბაჯო ყველგან რობერტო, დე ბური კი — ფრენკი.

## იტალია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 17 | 9 | 7 | 1 | 26:12 | 34 |
| ფიორენტინა | 17 | 10 | 3 | 4 | 30:19 | 33 |
| პარმა | 17 | 8 | 7 | 2 | 27:16 | 31 |
| იუვენტუსი | 17 | 8 | 4 | 5 | 24:16 | 28 |
| ლაციო | 17 | 7 | 5 | 5 | 31:19 | 26 |
| რომა | 17 | 6 | 7 | 4 | 20:15 | 25 |
| უდინეზე | 17 | 7 | 4 | 6 | 21:20 | 25 |
| ინტერი | 17 | 6 | 6 | 5 | 22:15 | 24 |
| ვიჩენცა | 17 | 6 | 6 | 5 | 16:15 | 24 |
| ნაპოლი | 17 | 5 | 8 | 4 | 17:17 | 23 |
| სამპდორია | 17 | 5 | 7 | 5 | 26:26 | 22 |
| ატალანტა | 17 | 6 | 4 | 7 | 21:27 | 22 |
| კალიარი | 17 | 6 | 2 | 9 | 13:24 | 20 |
| ტორინო | 17 | 3 | 8 | 6 | 17:26 | 17 |
| ბარი | 17 | 4 | 4 | 9 | 25:37 | 16 |
| პიაჩენცა | 17 | 4 | 4 | 9 | 18:33 | 16 |
| პადოვა | 17 | 4 | 3 | 10 | 18:28 | 15 |
| კრემონეზე | 17 | 2 | 5 | 10 | 18:25 | 11 |

### უდინეზე 3:2 ნაპოლი

14 000 მაყურებელი

უდინეზე: ბატისტინი, პელვეგი, ბერტოტო (კალორი 64), ამეტრანო (შალიმოვი 71), მატრეკანო, ბია, როსიტო, დეზიდერი (პელეგრინი 85), ბირპოფი, სტროპა, პოჯი

ნაპოლი: ტალიალატელა, პარი, პოლიკანო, ბორდინი, ბალდინი, კრუსი, ბუზო, ბოლოსიანი, აგოსტინი, პიცი (დი ნაპოლი 71), პეკია

გოლი: ბერტოტო (12), აგოსტინი (14), პოჯი (53), პეკია (55), ბია (60)

გაფრთხილება: ამეტრანო, პელვეგი, პოლიკანო, ბალდინი, პეკია

64-ე წუთზე აგოსტინიმ ვერ გაიტანა პენალტი

### ინტერი 2:0 რომა

42 000 მაყურებელი

ინტერი: პალიუკა, პისტონე, კარლოსი, ძანეტი, მ. პაგანინი, ფესტა, ბერტი (ფონტოლანი 81), ინსი, ბრანკა (ორლანდინი 88), კარბონე, განცი (დელ ანო 72)

რომა: ჩერვონე, სტატუტო (დი ბიაჯო 67), კარბონი, პეტრუცი, ალდაირი, ლანა, კაპიოლი (დელვეკიო 84), ჯანინი (ტოტი 62), ბალბო, ტერნი, ფონსეკა

გოლი: ბრანკა (18, 66)

გაფრთხილება: პისტონე, ტოტი

გაძევება: კარბონი (69)

### კრემონეზე 0:0 მილანი

20 000 მაყურებელი

კრემონეზე: ტურჩი, გარსია, ჯანდებიაჯი, დე აგოსტინი, გუალკო, ვერდელი, პეტრაკი, კრისტიანი, ალოიზი (ფანტინი 71), მასპერო, ფლორიანჩიჩი (ტენტონე 59)

მილანი: ს. როსი, პანუჩი, მალდინი, ალბერტინი, კოსტაკურტა, ბარეზი, ბობანი (დონადონი 90), დესაი, სიმონე (ლენტინი 77), სავიჩევიჩი, რ. ბაჯო

გაფრთხილება: ფანტინი, გუალკო, პეტრაკი, პანუჩი, დესაი

### იუვენტუსი 1:1 ბარი

30 000 მაყურებელი

იუვენტუსი: პერუცი, ტორიჩელი, პესოტო, სოუზა, ვერხოვოდი, ფერარა, იუგოვიჩი (დეშამპი 58), ა. კონტე, ვიალი, დელ პიერო (პადოვანო 66), რავანელი (დი ლივიო 46)

ბარი: ფონტანა, მანგონე, მანიგეტი, უერსონი (ფიკინი 52), სალა, მონტანარი, გაუტიერი (პარენტე 88), პედონე, ანდერსონი (ვენტოლა 76), ინგესონი, პროტი

გოლი: პროტი (9), რავანელი (41 პ)

გაფრთხილება: მანიგეტი, გაუტიერი, ფიკინი, ვენტოლა

გაძევება: ვერხოვოდი (38)

### ფიორენტინა 2:1 პიაჩენცა

37 542 მაყურებელი

ფიორენტინა: ტოლდო, კარნაშალი, სერენა (რობიატი 23; სოტილი 85), პიაჩენტინი, ამორუზო, პადალინო, შვარცი, ბიჯიკა, ბატისტუტა, რუი კოშტა (კოისი 66), ბაიანო

პიაჩენცა: ტაიბი, პოლონია, ლორენცინი (კაჩა 55), დი ფრანჩესკო, მაკოპი (მორეტი 72), ლუჩი, ტურინი, ა. კარბონე, კაპელინი, კორინი, როსინი

გოლი: რობიატი (27), ტურინი (35), ბაიანო (38)

გაფრთხილება: ბიჯიკა

### სამპდორია 2:2 ვიჩენცა

25 000 მაყურებელი

სამპდორია: სერენი, ბალერი, ფერი, ინვერნიცი, მანინი (საკეტი 46), მიხაილოვიჩი, კარემბო, ზეედორფი, კიეზა, სალსანო, ბელუჩი (მანიერო 76)

ვიჩენცა: მონდინი, შელოტი, გროსი (ვივიანი 70), დი კარლო, ბიორკლუნდი, ლოპესი, ლომბარდინი (ამბროზეტი 65), მ. როსი, მურჯიტა, მაინი, ოტერო (ამერინი 86)

გოლი: კიეზა (19), კარემბო (36), მ. როსი (39), ამბროზეტი (77)

გაფრთხილება: კიეზა, გროსი, ბიორკლუნდი, ოტერო

### პარმა 4:0 კალიარი

24 000 მაყურებელი

პარმა: ბუჩი, მუსი, დი კიარა, სენსინი, აპოლონი, კანავარო, ბრამბილა, პინი (მინოტი 57), კრიპა, ძოლა (ბენარივო 66), სტოიჩკოვი (ასპრილია 66)

კალიარი: ფიორი, პანკარო, პუშედუ, ვილა, ნაპოლი (ბონომი 24), ფირიკანო, ბიზოლი, ვენტურინი, სილვა (მუცი 46), ბრესანი (ლანტინიოტი 66), ოლვეირა

გოლი: მუსი (17), დი კიარა (65, 89), ფირიკანო (69, საკ. კარში)

გაფრთხილება: სენსინი, ბონომი

გაძევება: აპოლონი (56)

### პადოვა 3:2 ატალანტა

13 797 მაყურებელი

პადოვა: ბონაიუტი, სკონციანო (ვან უტრეხტი 40), გაბრიელი, ჯანპიეტრო, როზა, კუიჩი, კრეეკი (კოპოლა 91), ნუნციატა, ამორუზო (ნავა 86), ლონგი, ვლაოვიჩი

ატალანტა: ფერონი, ვალენტინი, ლუპი, ფორტუნატო, ერერა, მონტერო, როტელა (სგრო 83), გალო (მორფეო 52), ტოვალიერი (როსელი 44), ბონაჩინა, ვიერი

გოლი: ვან უტრეხტი (47), მორფეო (55, 66), ვლაოვიჩი (75, 84)

გაფრთხილება: კუიჩი, გაბრიელი, ვლაოვიჩი, მონტერო, მორფეო

გაძევება: ლუპი (37)

### ლაციო 1:1 ტორინო

გოლი: იანუცი (93); რიციტელი (80)

## ინგლისი

23-ე ტური. ბოლტონი — უიმბლდონი 1:0; ევერტონი — ჩელსი 1:1; ლიდსი — ვესტ ჰემი 2:0; მიდლსბრო — არსენალი 2:3; ნოტინგემი — საუთჰემპტონი 1:0; ქუინზ პარკ რეინჯერსი — ბლექბერნი 0:1; შეფილდი — ლივერპული 1:1; ქოვენთრი — ნიუკასლი 0:1; ტოტენჰემი — მანჩესტერ სიტი 1:0; მანჩესტერ იუნაიტ — ასტონ ვილა 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუკასლი | 22 | 16 | 3 | 3 | 43:18 | 51 |
| მანჩესტერ იუნ. | 23 | 12 | 6 | 5 | 42:28 | 42 |
| ტოტენჰემი | 23 | 11 | 8 | 4 | 32:22 | 41 |
| ლივერპული | 22 | 11 | 6 | 5 | 41:21 | 39 |
| არსენალი | 23 | 10 | 7 | 6 | 31:22 | 37 |
| ნოტინგემი | 22 | 9 | 10 | 3 | 33:31 | 37 |
| ასტონ ვილა | 21 | 10 | 6 | 5 | 28:16 | 36 |
| ბლექბერნი | 23 | 10 | 5 | 8 | 34:26 | 35 |
| ლიდსი | 22 | 10 | 5 | 7 | 30:27 | 35 |
| ევერტონი | 23 | 9 | 6 | 8 | 33:25 | 33 |
| მიდლსბრო | 23 | 9 | 6 | 8 | 25:24 | 33 |
| ჩელსი | 23 | 8 | 9 | 6 | 24:25 | 33 |
| შეფილდი | 22 | 6 | 8 | 8 | 33:33 | 26 |
| ვესტ ჰემი | 21 | 6 | 5 | 10 | 22:32 | 23 |
| უიმბლდონი | 23 | 5 | 6 | 12 | 31:45 | 21 |
| საუთჰემპტონი | 22 | 4 | 8 | 10 | 20:32 | 20 |
| ქოვენთრი | 22 | 4 | 7 | 11 | 28:44 | 19 |
| მანჩესტერ სიტი | 22 | 5 | 4 | 13 | 12:32 | 19 |
| ქუინზ პარკი | 23 | 5 | 3 | 15 | 17:34 | 18 |
| ბოლტონი | 23 | 3 | 4 | 16 | 22:44 | 13 |

## ესპანეთი

21-ე ტური. ალბასეტე — ატლეტიკო 1:1; ბეტისი — ვალიადოლიდი 3:0; სოსიედადი — სანტანდერი 2:1; ტენერიფე — ხიხონი 3:0; სალამანკა — სევილია 4:1; კომპოსტელა — ესპანიოლი 2:1; ვალენსია — სელტა 3:0; ბარსელონა — დეპორტივო 1:1; ოვიედო — მერიდა 0:0; რეალი — სარაგოსა 2:2; რაიო ვალეკანო — ატლეტიკი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 21 | 15 | 4 | 2 | 39:10 | 49 |
| კომპოსტელა | 21 | 13 | 3 | 5 | 29:22 | 42 |
| ესპანიოლი | 21 | 12 | 5 | 4 | 31:15 | 41 |
| ბარსელონა | 21 | 11 | 6 | 4 | 40:19 | 39 |
| ვალენსია | 21 | 11 | 3 | 7 | 34:26 | 36 |
| ბეტისი | 21 | 8 | 10 | 3 | 31:23 | 34 |
| რეალი | 21 | 9 | 6 | 6 | 37:29 | 33 |
| დეპორტივო | 21 | 9 | 5 | 7 | 34:18 | 32 |
| ტენერიფე | 21 | 8 | 8 | 5 | 35:31 | 32 |
| ატლეტიკი | 21 | 7 | 7 | 7 | 25:25 | 28 |
| სელტა | 21 | 7 | 6 | 8 | 21:24 | 27 |
| სოსიედადი | 21 | 7 | 5 | 9 | 28:33 | 26 |
| სარაგოსა | 21 | 6 | 7 | 8 | 20:27 | 25 |
| ხიხონი | 21 | 7 | 2 | 12 | 26:30 | 23 |
| ოვიედო | 21 | 5 | 7 | 9 | 21:31 | 22 |
| სევილია | 21 | 5 | 7 | 9 | 20:32 | 22 |
| სალამანკა | 21 | 5 | 6 | 10 | 32:34 | 21 |
| ალბასეტე | 21 | 5 | 6 | 10 | 32:43 | 21 |
| სანტანდერი | 21 | 5 | 6 | 10 | 23:39 | 21 |
| რაიო ვალეკანო | 21 | 5 | 5 | 11 | 23:38 | 20 |
| მერიდა | 21 | 3 | 10 | 8 | 17:28 | 19 |
| ვალიადოლიდი | 21 | 2 | 8 | 11 | 24:39 | 14 |

## კალათბურთი

# «ვითა» ამერიკაში მიდის

ქართულმა საკალათბურთო კლუბებმა, როგორც ჩანს, სერიოზულად გაჭრეს გზა ამერიკაში. ცოტა ხნის წინ, გეხსომებათ, „კაქტუსი" იმყოფებოდა ოკეანის გაღმა. ამჯერად კი იქითკენ გეზი საქართველოს სამგზის ჩემპიონმა — თბილისის „ვითამ" აიღო.

ვითელები 20 იანვარს მიემგზავრებიან ფლორიდის შტატში, ქალაქ მაიამიში და იქ ორ კვირას დაჰყოფენ. ისინი, სულ ცოტა, 6 თამაშს ჩაატარებენ ამერიკის კოლეჯთა ეროვნული ასოციაციის გუნდებთან, დანარჩენ დროს კი ვარჯიშს დაუთმობენ. ეს, ასე ვთქვათ, განრიგის მიხედვით, თორემ გამორიცხული არაა ადგილზე ჩასვლის შემდეგ თამაშების რაოდენობა გაიზარდოს.

ეს ვიზიტი თურმე 2 წელიწადს მზადდებოდა. „ვითა" მაიამელებთან დაუკავშირებია კეტბურთის მწვრთნელს გია ქემოკლიძეს, რომელსაც იქაურებთან პირადი კონტაქტები ჰქონია. მას შემდეგ გდეტალები ზუსტდებოდა, ზუსტდებოდა და ახლა, ბოლოსდაბოლოს, „ვითას" ამერიკაში გამგზავრებას ხელს აღარაფერი უშლის.

„ვითა" ამერიკული ტურნესთვის სხვა გუნდებიდან ორ კალათბურთელს დაიმატებს. კაქტუსელი რეზო ჩხეიძე გუნდს თბილისიდანვე გაჰყვება, ხოლო ვახტანგ ნაცვლიშვილი მაიამიში შეუერთდება. ბესიკ ლიპარტელიანი ამით ნაკრებზეც ფიქრობს — „ვითას" მზადების პარალელურად (რომელიც ნაკრების ბირთვია), საბერძნეთთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩისთვის მზადებას ეს ორი კალათბურთელიც გაივლის.

## ჩოგბურთი

# ვლადიმერული ფინალი

8-დან 12 იანვრამდე გაიმართა საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა პირველობა. შეჯიბრებაში დღეისათვის უძლიერესი 16 სპორტსმენი ჩაება. მეოთხედფინალიდან მონაწილენი ორ ქვეჯგუფად დაიყვნენ. ჯგუფებში გამარჯვებულები პირველი ადგილისთვის შეიბნენ. ვლადიმერ გაბრიჩიძემ 6:1, 6:4 დაამარცხა ვლადიმერ მარგალიტაძე და საქართველოს ჩემპიონი გახდა. მეორე ადგილებზე გასულ ირაკლი ლაბაძეს და იოსებ სიამაშვილს მესამე პრიზიორის გამოვლენა მოუხდათ. ლაბაძემ 6:4, 7:6 დაამარცხა მეტოქე და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. 1-6 ადგილებზე გასული ჩოგბურთელები შეადგენენ საქართველოს ნაკრების ძირითად ბირთვს, რომელიც მზადებას დაიწყებს დევისის თასის გათამაშებისთვის.

# ლაბაძე კარგი ჯარისკაცია

ირაკლიმ შარშან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა გერმანიის ბუნდესლიგაში მოასპარეზე კლუბ „გრუნვაისთან". ხელშეკრულებით დაკავშირებულია სპორტული ნაწარმის ფირმებთან „ვილსონთან" და „ტაჩინისთან".

უყვარს ფეხბურთის თამაში და NBA-ს ჩემპიონატის ყურება. ფეხბურთში საქართველოს ნაკრების მერე გულშემატკივრობს გერმანელებს და ბრაზილიელებს. თანამედროვე მუსიკოსებიდან მოსწონს ელტონ ჯონი და ჯო კოკერი.

მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატში, სადაც მისი კბილა 128 უძლიერესი ჩოგბურთელი მონაწილეობდა, ერთეულთა თანრიგში მე-5 ადგილი დაიკავა. წყვილთა შეჯიბრში კი პირველი იყო ბელგიელ როზერთან ერთად. შარშანვე ტრავმით გამოწვეული 8-თვიანი შესვენების შემდეგ მოიგო ბადენ-ბადენის, ულმისა და მიუნხენის საერთაშორისო ტურნირები.

— მეგონა, მამაჩემი სიქას მაძრობდა ვარჯიშით, მაგრამ გერმანიაში ჩასვლის შემდეგ მივხვდი, ნაღდი ვარჯიში რას ჰქვია. დღეში ერთხელ ან ორჯერ მავარჯიშებენ 3-4 საათს. თავიდან ძალიან გამიჭირდა, მაგრამ უკვე შევეჩვიე. გერმანული კარგად ვიცი და იქაურებთან ურთიერთობა არ მიჭირს. გერმანელი მწვრთნელები გაოცებულები იყვნენ ჩემი ფიზიკური მოუმზადებლობით, უკვირდათ, ასეთი სუსტი ბიჭი საერთოდ როგორ თამაშობსო.

**— ვის სტილს ჰგავს შენი თამაში და რომელ ჩოგბურთელს გულშემატკივრობ?**

— ჩემი აზრით, კურიესა და აგასის მანერით ვმოქმედებ, მიყვარს შეტევა. ბორის ბეკერს ვგულშემატკივრობ, მაგრამ სამპრასს ვთვლი დღესდღეობით უძლიერეს ჩოგბურთელად.

**— მესამე ადგილისთვის მატჩში იოსებ სიამაშვილთან 5:2 იგებდი და მატჩ-ბოლიც გქონდა, მაგრამ საქმე თაი-ბრეიქამდე მიიყვანე, მერე კი დამაჯერებლად გაიმარჯვე. ეს ნერვების ბრალია თუ გადამწყვეტ მომენტში დუნდები ხოლმე?**

— ნერვებს არ ვუჩივი, მაგარი მაქვს, კორტზე თითქმის არ ვღელავ. ლამაზად მიყვარს თამაში და ხშირად ეს მაზარალებს ხოლმე, ახლაც ასე მოხდა — მინდოდა, ლამაზი კომბინაციით დამემთავრებინა მატჩი, მაგრამ არ გამომივიდა, ზედმეტი პრობლემები შევუქმენი ჩემს თავს.

**— ალბათ მსოფლიოს პირველ ჩოგნობაზე ოცნებობ?**

— ცუდი ჯარისკაცია ის, ვინც გენერლობაზე არ ოცნებობსო. მეც, რაღა თქმა უნდა, მსოფლიოში უძლიერესი ჩოგბურთელი მინდა გავხდე.

ერეკლე კიკილაშვილი

გია კაკაბაძის ფოტო



### ირაკლი ლაბაძე

დაიბადა 1981 წლის 9 ივნისს. ჩოგბურთზე 6 წლისა მიიყვანეს „დინამოს" კორტებზე რენა აბუანდაძესთან. მეშვიდე კლასამდე 53-ე სკოლაში სწავლობდა, ორი წლის წინ კი 58-ე სპორტულ სკოლაში გადავიდა. მოუგია მრავალი საკავშირო და სნგ-ს ტურნირი თანატოლებში, ბევრ საერთაშორისო ტურნირში პირველი იყო. ოთხი წელია მისი უცვლელი მწვრთნელია მამამისი, გივი ლაბაძე.



# სითბო, იუმორი, შამპანური

„ყველა თაობის ოლიმპიელთა და სპორტსმენთა, სპორტის მუშაკთა და სპეციალისტთა, სპორტის ვეტერანთა და სპორტულ ჟურნალისტთა, სპონსორთა საახალწლო შეხვედრა" — ასე ერქვა ოფიციალურად ღონისძიებას, 12 იანვარს რომ გაიმართა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში. არაოფიციალურად კი ეს იყო სიყვარულის, ურთიერთპატივისცემის და მადლიერების საღამო, რომელიც სპორტის დეპარტამენტისა და ეროვნულ-ოლიმპიური კომიტეტის თაოსნობით მოეწყო.

უმთავრესი „მიზეზი" საქართველოს 1995 წლის საუკეთესო სპორტსმენების დაჯილდოება გახლდათ. ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენი უმთავრესი გამოკითხვის, ანუ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის გამოკითხვის მსგავსად, დეპარტამენტისა და სეოკ-ის ვერსიის მიხედვითაც გორელმა ძიუდოისტმა გიორგი ვაზაგაშვილმა გაიმარჯვა. ერთი ეგ იყო, ბაკურიანში შეკრებაზე მყოფი ვაზაგაშვილი (ისევე, როგორც ათეულში შესული სამბისტი ჯონდო მუზაშვილი) შეხვედრაზე იგვიანებდნენ და ბატონმა კახი ასათიანმა ხუმრობით თქვა — იქნებ ღონისძიება გადავდოთ და ეს ხალხი როცა ჩამოვა, მაშინ ჩავატაროთო. საბედნიეროდ, ფალავნები მალე მოვიდნენ.

სეოკ-მა ექვს ვეტერან სპორტსმენს საპატიო სიგელები გადასცა. არც ჟურნალისტები დაივიწყეს და ჩვენი საძმოს მართლაც ღვაწლმოსილი წევრი ნოდარ გუგუშვილი პრემიით დააჯილდოვეს.

ამის შემდეგ სეოკ-ის პრეზიდენტმა, ქალბატონმა ნონა გაფრინდაშვილმა სარკეებიან დარბაზში, წვეულებაზე მიიპატიჟა დამსწრენი. იყო ბევრი შამპანური, იუმორი და სითბო. ხალხმრავლობის გამო ხშირად ვინმეს დაეჯახებოდი და ეს ვინმე ან ევროპის, ან მსოფლიოს, ან სულაც ოლიმპიური ჩემპიონი აღმოჩნდებოდა ხოლმე. მანამდე კი შეხვედრაზე მოსული უკლებლივ ყველა სტუმარი სეოკ-მა თავის სიმბოლიკიანი სუვენირებით: მაისურით, კალმით, სანთებელათი, აგრეთვე კანფეტებითა და ტკბილეულით დაასაჩუქრა. მოკლედ, იქაურობა ყველამ მეტად მხიარულმა და ნასიამოვნებმა დატოვა.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები



აჯილდოებენ გიორგი ვაზაგაშვილს

## სპორტული ცეკვა

# ოლიმპიური ტანგო ფილარმონიაში

ძალიან უნდა გიყვარდეს ცეკვა, რომ თითქმის სამი საათი იჯდე გაყინულ დარბაზში და უყურებდე, რა ნარნარად ცეკვავენ ვალსს, ტანგოს თუ ფოქსტროტს მოხდენილი წყვილები.

ცეკვის ჯადო, სცენაზე რომ სუფევდა, თანდათან მთელს დარბაზს მოედო და გათოშილ, უამრავი საზრუნავით გულდამძიმებულ მაყურებელს დროებით დაავიწყა ყველა გასაჭირი. უძვირფასესი არტისტული საზღაური არ ახანებს — გულიანი ტაში მოცეკვავეებს.

ეს ამ ცოტა ხნის წინ იყო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, სადაც გაიმართა საქართველოს თასის გათამაშება სამეჯლისო ან კი სპორტულად წოდებულ ცეკვებში. სიტყვები „თასის გათამაშება" ნუ გეუცხოვებათ — ახლახან ხომ სპორტული ცეკვები ოლიმპიურ სახეობად აღიარეს, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემიაში კი წელს სპორტული ცეკვების განყოფილებაც გაიხსნება.

14 წლამდე მოცეკვავეებში ყველას ქორეოგრაფიული სტუდის „ვარკეთილის" წარმომადგენლებმა თეიმურაზ ფერაძემ და ნატალია მაროტიმ აჯობეს. 16 წლიანებში საუკეთესო იყო მამუკა ბახტაძისა და ივეტა ხატიაშვილის წყვილი (სტუდია „თელა"). მოცეკვავეებმა ასაკის შეუზღუდავად იასპარეზეს სამი სახეობის ცეკვებშიც. აქ თავი გამოიჩინეს ალბერტ ისპახანოვმა და ნანა ხუხაშვილმა („თელა"), დავით გოგიაშვილმა და ლია ჭაბუკიანმა („თელა"), ზურაბ ბობოხიძემ და ნინო გოგობერიშვილმა („ჭაბუკი").

მერე, რა თქმა უნდა, იყო საჩვენებელი გამოსვლებიც. მაყურებელი ნამდვილად მოხიბლა დავით კულუმბეგაშვილის და ია კვირიკაშვილის ოსტატობამ, თუმცა ეს არც იყო გასაკვირი — „თელას" ეს აღზრდილები ხომ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების მონაწილეები არიან.

უეჭველია, უნდა აღინიშნოს, რომ ცხრა პრიზიორი წყვილიდან ექვსი მეცადინეობს სტუდია „თელაში", რომელსაც თავკაცობენ მიი დამაარსებლები და უცვლელი ხელმძღვანელები — თენგიზ გაჩეჩილაძე და ლარისა ქურდაძე. ამ ნიჭიერმა ქორეოგრაფებმა აღზარდეს არაერთი შესანიშნავი მოცეკვავე, რომლებსაც წარმატებით დაუცავთ საქართველოს ღირსება მრავალ პრესტიჟულ კონკურსში. ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართულ პროფესიონალთა კონკურსის პრიზიორები არიან თენგიზის ქალიშვილი — შორენა გაჩეჩილაძე და მისი მეუღლე გოჩა ჩერტკოევი. ბორის ოდიკაძისა და რუზანა მანაშეროვის წყვილი კი ისრაელის ჩემპიონია, ლია ჭითანავა ინგლისში ასწავლის ცეკვას, იგორ პერერვა კი გერმანიაში...

„თელას" ხელმძღვანელებს მრავალი საინტერესო ჩანაფიქრი აქვთ. წლეულს უმთავრესი ეს იქნება: მაისში თბილისში გაიმართება საერთაშორისო კონკურსი, რომელზეც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის განთქმულ მოცეკვავეებს იწვევენ.

გიორგი ბაციაშვილი


### ინგლისური ენის შესწავლის მსურველებს

გიწვევთ ილონა დავიდოვას „ექსპრეს-მეთოდით" შემსწავლელ სამთვიან კურსებზე. სწავლება მიმდინარეობს ლინგოფონური სისტემით.

ჩვენი მისამართია:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მე-7 კორპუსი, მე-3 სართული, საგზაო-საავტომობილო ფაკულტეტის დეკანატი.

ტელეფონი:
36-00-94, 36-65-00, 93-36-71


### საფეხბურთო ტოტალიზატორი ლაპლას-ტოტო

**მატჩების სია — ტირაჟი №14 (20-22 იანვარი)**

| | |
|---|---|
| 1. მილანი - პადოვა | იტალიის ჩემპიონატი |
| 2. კრემონეზე - იუვენტუსი | იტალიის ჩემპიონატი |
| 3. პარმა - ატალანტა | იტალიის ჩემპიონატი |
| 4. ნაპოლი - ბარი | იტალიის ჩემპიონატი |
| 5. სოსიედადი - ატლეტიკო | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 6. ბარსელონა - ვალიადოლიდი | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 7. რეალი - რაიო ვალეკანო | ესპანეთის ჩემპიონატი |

ბილეთების რეგისტრაცია შეწყდება შაბათს, 20 იანვარს 16 საათზე

**მე-13 ტირაჟის შედეგები**

1. 2-2 2.0-2 3.0-1 4. 2-2 5.4-0 6.1-1 7.5-1

მოგებები: ხუთი, ექვსი, შვიდი მატჩი - ვერავინ გამოიცნო. სრული **JACK POT**. შესაბამისად 210, 1230 და 1560 ლარი გადადის შემდეგ ტირაჟში.

ბილეთები იყიდება მეტროს სადგურებთან: დელისი, პოლიტექნიკური, მარჯანიშვილი, ახმეტელი, სამგორი. ბილეთის (2 ვარიანტი) ფასი 30 თეთრი.

მოგებები გაიცემა მისამართზე: ხეთაგუროვის 2, მე-3 სართ. ფირმა „ესკიზი" (11.00 — 14.00). თან იქონიეთ პასპორტი.

ტირაჟის ანონსი ქვეყნდება აგრეთვე გაზეთებში: „საქმოსანი", „7 დღე".

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

ინგლისის ასოციაციის თასი.

მესამე წრე. გადათამაშება.

17 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მანჩესტერ სიტი — ლესტერი | (1,1-5,0) | 1,15 | 3,2 | 6,5 |
| შეფილდ იუნაიტედი — არსენალი | (1,9-1,55) | 3,0 | 3,0 | 1,6 |
| ტოტენჰემი — ჰერეფორდი | (1,05-7,5) | 1,05 | 3,5 | 9,0 |
| ბლექბერნი — იფსვიჩ თაუნი | (1,05-7,5) | 1,1 | 3,3 | 7,0 |
| სანდერლენდი — მანჩესტერ იუნაიტედი | (2,5-1,35) | 4,0 | 3,0 | 1,4 |
| ნოტინგემი — სტოკ სიტი | (1,05-7,5) | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| უიმბლდონი — უოტფორდი | (1,2-3,5) | 1,25 | 3,0 | 5,6 |
| ნიუკასლი — ჩელსი | (1,25-3,1) | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| სტოქპორთი — ევერტონი | (2,1-1,45) | 3,4 | 3,0 | 1,5 |

ესპანეთის თასი.

მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

17-18 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბეტისი — ატლეტიკო | (1,35-2,5) | 1,6 | 2,7 | 3,4 |
| რეალი — ესპანიოლი | (5,0-1,1) | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| ბარსელონა — ერკულესი | (1,1-5,0) | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| სპორტინგი — ნუმანსია | (1,4-2,3) | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| კომპოსტელა — სევილია | (2,0-1,5) | 1,6 | 2,4 | 4,0 |
| ტენერიფე — დეპორტივო | (1,6-1,8) | 1,8 | 2,6 | 2,8 |
| სარაგოსა — ბილბაო | (1,05-7,5) | 1,4 | 2,7 | 4,7 |
| ვალენსია — სელტა | (1,1-5,0) | 1,2 | 3,0 | 6,5 |

აფრიკის ჩემპიონატის მატჩების ფსონები იხილეთ ადგილზე

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

## თამაშის წესები

თამაშში მონაწილის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი. მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია. ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც (კოეფიციენტი — 4,0). ფსონის მინიმალური თანხაა — 20 თეთრი.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონს ჩამოხვალთ რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, თქვენი კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და, შესაბამისად, მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ერთი და იგივე მატჩის შეტანა ერთ ვარიანტში ორი სხვადასხვა სახით (მაგ: ლაციო — პარმა 1, და პარმა — ლაციო 2-1) არ შეიძლება, კოეფიციენტები არ გამრავლდება. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზებისთვის: შედეგი — შედეგზე, თასის აღება — თასის აღებაზე და ა.შ.

თუ მატჩი ჩატარდა დანიშნულ თარიღზე ადრე, მატჩის ჩატარების შემდეგ ჩამოსული ფსონები, მიუხედავად მასში აღნიშნული შედეგისა, დაბრუნდება უკან. ფსონები უქმდება მაშინაც, თუ მატჩი გადაიდო, შეიცვალა მასპინძელი გუნდი ან არ დამთავრდა (ჩაიშალა). თუ ასეთი მატჩები შეტანილია სხვა მატჩებთან ერთად ორ ვარიანტში, მაშინ ვარიანტი განიხილება ამ თამაშის გარეშე. თუ მატჩი დამთავრდა, მისი შედეგი დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი გაპროტესტდება და გადათამაშდება, მოგებები გაიცემა პირველი მატჩის შედეგის მიხედვით. თუ ფსონი დადებულია გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლაზე და თამაშის შედეგად გუნდი გავა კიდევაც, შემდეგ კი რაიმე სანქციების გამო შემდეგ ეტაპზე გასულად სხვა გუნდი ჩაითვლება, მოგებები გაიცემა თამაშის შედეგად შემდეგ ეტაპზე გასულ გუნდზე. თუ ტურში არ ჩატარდება რომელიმე მატჩი, ფსონი კი დადებულია გატანილი გოლების რაოდენობაზე, მოგება გაიცემა ან ფსონი წაგებულად ჩაითვლება, თუ ამ მატჩის შედეგი გავლენას ველარ ახდენს პროგნოზის გამოცნობაზე. სხვა შემთხვევაში ფსონი ბრუნდება უკან.

მოთამაშე პასუხისმგებელია ქვითრის სწორად შევსებისთვის. თუ ქვითრის ორი ნაწილი განსხვავებულად არის შევსებული, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტოტალიზატორში ჩაბარებულ ნაწილს.

მოგებები გაიცემა და ფსონები უკან ბრუნდება ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქვითრის გარეშე და არასწორად ან არასრულად შევსებულ ქვითრებზე მოგებები არ გაიცემა. თუ ქვითარში არ არის მითითებული თანხა, ფსონები ჩაითვლება მისი მინიმალური ოდენობით (20 თეთრი).

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს 13-დან 16 საათამდე სასტუმრო „აჭარის" ფოიეში.

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | | | 2-0 | | | | | | 1-1 | | | 0-1 | 3-5 | 0-0 | 3-3 | 3-2 | | 1-3 | 4-2 | 4-0 | |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 1-0 | ■ | | | | 0-0 | | | | 3-1 | | 1-0 | 1-1 | | 1-1 | 3-1 | | | 2-0 | 2-0 | 2-2 | |
| 3 | FC BARCELONA | 3-0 | 2-1 | ■ | 4-1 | | 1-0 | | | 2-0 | | 4-1 | 1-1 | | | | 4-1 | | | 1-0 | | | 2-2 |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | | 0-0 | | ■ | | 2-1 | 1-0 | 0-2 | | | | 4-0 | 1-0 | 0-0 | | | 1-1 | | | 2-1 | 3-0 | 1-1 |
| 5 | SD COMPOSTELA | 3-1 | | 2-1 | 2-1 | ■ | 1-0 | 4-0 | | 1-0 | | 4-1 | 2-0 | | | | 0-0 | | | | | | 1-0 |
| 6 | SPORTING GIJON | 3-0 | | | | | ■ | | | | 0-0 | | 4-2 | 4-1 | | 2-3 | 3-2 | 3-1 | | 1-3 | 4-2 | 1-0 | |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 5-0 | 0-1 | | | | 1-0 | ■ | | | 3-0 | | 2-3 | 2-3 | | 0-0 | 2-0 | | | 3-0 | 3-1 | | |
| 8 | ATLETICO DE MADRID | | 2-1 | 3-1 | | 3-0 | 2-0 | 1-0 | ■ | 0-0 | | 3-0 | | | 4-1 | | | | 3-1 | | | | 1-1 |
| 9 | RAYO VALLECANO | 2-0 | 1-0 | | | | 2-0 | 0-6 | | ■ | 1-5 | | 1-2 | | | 1-2 | 1-4 | | | 3-2 | | | 4-1 |
| 10 | REAL MADRID CF | | | 1-1 | 1-2 | 2-1 | | | 1-0 | | ■ | 2-3 | | | 3-2 | | | 4-1 | 2-0 | | 4-1 | 1-0 | |
| 11 | REAL OVIEDO | 1-0 | 1-2 | | 0-0 | | 1-0 | 0-2 | | 2-0 | | ■ | 2-1 | | | 0-1 | 2-2 | | | 0-1 | | | |
| 12 | RACING SANTANDER | 5-5 | | | | | | | 0-4 | | 2-0 | | ■ | 0-0 | | 0-0 | 2-1 | 1-1 | | 0-3 | 0-0 | 2-1 | |
| 13 | REAL ZARAGOZA | | | 0-3 | | 1-0 | | | 0-1 | 1-1 | | 1-0 | | ■ | 1-2 | | | 0-1 | 0-2 | | 5-3 | 0-0 | |
| 14 | REAL SOCIEDAD | | 0-1 | 1-1 | | 0-1 | 2-0 | 2-1 | | 2-1 | | 1-1 | | | ■ | | | | 0-1 | | | | 1-2 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | | | 1-5 | 0-0 | 5-0 | | | 2-1 | | 0-0 | | | 3-1 | 3-1 | ■ | | 1-1 | 3-3 | | | 0-3 | |
| 16 | SALAMANCA | | | | 2-1 | | | | 1-3 | | 0-2 | | | 0-1 | 3-3 | 2-1 | ■ | | 1-2 | 4-0 | 0-0 | 0-1 | |
| 17 | SEVILLA FC | | 0-3 | 1-0 | | 0-1 | | 0-0 | 0-0 | 1-0 | | 1-1 | | | 2-1 | | | ■ | 0-1 | | | | 3-0 |
| 18 | CD TENERIFE | 1-3 | 1-4 | 1-1 | 3-2 | 1-1 | | 1-1 | | 2-2 | | 3-3 | 2-0 | | | | | | ■ | | | | 1-0 |
| 19 | VALENCIA CF | | | | 3-1 | 5-2 | | | 0-1 | | 4-3 | | | 0-0 | 0-1 | 1-1 | | 1-0 | | ■ | 1-0 | | |
| 20 | REAL VALLADOLID | | | 0-2 | | 0-0 | | | 0-1 | 1-1 | | 2-2 | | | 3-0 | | | 3-3 | 3-0 | | ■ | 1-1 | 1-1 |
| 21 | RC CELTA VIGO | | | 1-0 | | 0-1 | | 0-0 | 0-3 | 2-0 | | 1-0 | | | 1-1 | | | 4-0 | 2-2 | | | ■ | 2-0 |
| 22 | MERIDA | 1-1 | 0-1 | | | | 1-0 | 0-2 | | | 2-2 | | 3-1 | 1-1 | | 1-1 | 0-0 | | | 0-2 | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FC ARSENAL | ■ | 2-0 | 0-0 | | 1-1 | | | | | | 1-0 | 1-1 | | 1-1 | 3-0 | 4-2 | 4-2 | | 1-0 | 1-3 |
| 2 | ASTON VILLA | 1-1 | ■ | | 1-0 | 0-1 | 4-1 | 1-0 | | | | 3-1 | | 1-1 | 1-1 | | | | | | 2-0 |
| 3 | BLACKBURN ROVERS | | 1-1 | ■ | | 3-0 | 5-1 | | | | 2-0 | 1-2 | 1-0 | | 7-0 | 1-0 | | 2-1 | 2-1 | 4-2 | |
| 4 | BOLTON WONDERERS | 1-0 | | 2-1 | ■ | | 1-2 | 1-1 | 0-2 | 0-1 | | | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-1 | | | | 0-3 | |
| 5 | FC CHELSEA | 1-0 | | | 3-2 | ■ | 2-2 | 0-0 | | 2-2 | | 1-4 | | 1-0 | | | 0-0 | 3-0 | 0-0 | | 1-2 |
| 6 | COVENTRY CITY | 0-0 | 0-3 | 5-0 | | | ■ | 2-1 | | | 2-1 | 0-4 | | | 1-1 | | 0-1 | 1-1 | 2-3 | | 3-3 |
| 7 | FC EVERTON | 0-2 | | 1-0 | | | | ■ | 2-0 | | | 2-3 | 4-0 | 1-3 | | 2-0 | 2-2 | 2-0 | 1-1 | 3-0 | |
| 8 | LEEDS UNITED | 0-3 | 2-0 | 0-0 | | 1-0 | 3-1 | | ■ | 1-0 | 0-1 | 3-1 | | | | 1-3 | 2-0 | | | | 1-1 |
| 9 | FC LIVERPOOL | 3-1 | | 3-0 | 5-2 | | 0-0 | 1-2 | | ■ | 6-0 | 2-0 | | | 4-2 | 1-0 | 1-0 | 1-1 | | | |
| 10 | MANCHESTER CITY | 0-1 | 1-0 | | 1-0 | 0-1 | | 0-2 | 0-0 | | ■ | | 0-1 | | 1-1 | | | | 1-1 | 2-1 | 1-0 |
| 11 | MANCHESTER UNITED | | | | 3-0 | 1-1 | | | | 2-2 | 1-0 | ■ | 2-0 | 2-0 | | 2-1 | 2-2 | 4-1 | | 2-1 | 3-1 |
| 12 | MIDDLESBROUGH | | 0-2 | 2-0 | | 2-0 | 2-1 | | 1-1 | 2-1 | 4-1 | | ■ | | | 1-0 | | 0-0 | 0-1 | 4-2 | |
| 13 | NEWCASTLE UNITED | 2-0 | | 1-0 | | 2-0 | 3-0 | 1-0 | 2-1 | 2-1 | 3-1 | | 1-0 | ■ | 3-1 | | | | | | 6-1 |
| 14 | NOTTINGHAM FOREST | | 1-1 | | 3-2 | 0-0 | | 3-2 | | | 3-0 | 1-1 | 1-0 | | ■ | | 1-0 | | | 1-1 | 4-1 |
| 15 | QUEEN'S PARK RANGERS | | 1-0 | | 2-1 | 1-2 | 1-1 | | | | 1-0 | | 1-1 | 2-3 | 1-1 | ■ | 0-3 | | 2-3 | | 0-3 |
| 16 | SHEFFIELD WEDNESDAY | | | 2-1 | 4-2 | | 4-3 | | 6-2 | | 1-1 | 0-0 | 0-1 | 0-2 | | | ■ | 2-2 | 1-3 | 0-1 | |
| 17 | FC SOUTHAMPTON | 0-0 | 0-1 | | 1-0 | | | | 1-1 | 1-3 | | | | 1-0 | 3-4 | 2-0 | | ■ | 0-0 | 0-0 | |
| 18 | TOTTENHAM HOTSPUR | 2-1 | 0-1 | | 2-2 | | | 0-0 | 2-1 | 1-3 | | 4-1 | | 1-1 | 0-1 | 1-0 | | | ■ | | 3-1 |
| 19 | WEST HAM UNITED | | 1-4 | 1-1 | | 1-3 | | 2-1 | 1-2 | 0-0 | | | | | | 1-0 | | 2-1 | 1-1 | ■ | |
| 20 | FC WIMBLEDON | | | 1-1 | 3-2 | | | 2-3 | 2-4 | 1-0 | | | 0-0 | 3-3 | | | 2-2 | 1-2 | 0-1 | 0-1 | ■ |


## CLEAR WATER TRAINING TOURS

### საქმიანი მგზავრობა პროფესიული სწავლების პროგრამით

საქმიანი მგზავრობა პროფესიული სწავლების პროგრამით **CLEAR WATER** განკუთვნილია საწარმოების, ფინანსური და კომერციული სტრუქტურების სპეციალისტებისთვის, რომლებიც თავიანთი სპეციალობით დაინტერესებულნი არიან უცხოეთში მოკლევადიანი პროფესიული ინტენსიური სწავლების პროგრამით. დიდ ბრიტანეთს, როგორც საყოველთაოდ აღიარებული ბიზნესისა და ფინანსების საერთაშორისო ცენტრს, აქვს დიდი სასწავლო და საკვლევი პოტენციალი.

სწავლებასთან ერთად ტური ითვალისწინებს ფართო საექსკურსიო პროგრამასაც.

**CLEAR WATER** ფინანსების, ბიზნესის და მენეჯმენტის აკადემიასთან ერთად ოცზე მეტ სპეციალობაში გთავაზობთ სწავლების მოქნილი პროგრამის ფართო ასორტიმენტს ხელმისაწვდომ და სუბსიდირებულ ფასებში — 3500 ამერიკული დოლარი ერთ მსმენელზე. ღირებულებაში შედის: ლონდონში 10 დღიანი ყოფნა §მეცადინეობა და კულტურული პროგრამა), ავიაბილეთების ფასი, ცხოვრება და სასტუმროში სამჯერადი კვება, ვიზების გაფორმება, მგზავრობის მთლიანი დაზღვევა და ლონდონში მთარგმნელის მომსახურება.

სწავლებაში ჩართულია ლექციები, სემინარები, პრაქტიკული მეცადინეობა, დიდი ბრიტანეთის წამყვანი საწარმოებისა და კომპანიების მონახულება. მათი მიზანია აჩვენონ, თუ რეალურად როგორ მუშაობენ დასავლეთისა და უწინარეს ყოვლისა დიდი ბრიტანეთის სხვადასხვა ორგანიზაციები.

სასწავლო ტური საერთაშორისო კონტაქტებისა და კოლეგებთან იდეების გაცვლის შესაძლებლობასაც იძლევა. ეს ტური განსაკუთრებით სასარგებლო იქნება მათთვის, ვინც მოკლე ვადებში თავისი კვალიფიკაციის ამაღლებისკენ ისწრაფვის.

ცნობებისათვის დარეკეთ:
თბილისში — 93-16-08, ლონდონში — 480-35-16

# მორის უილსონის რომანტიული თვითმკვლელობა



დასაწყისი წინა „სარბიელში"

მორის უილსონის გამცილებელნი შინ გულდამძიმებულნი დაბრუნდნენ, რადგან მისი ცოცხლად დაბრუნებისა ცოტას თუ სჯეროდა, დიდი იდეით შეპყრობილი კაცი კი არხეინად მიფრინავდა. რაკი ჟანგბადის ნიღბის გარეშე იყო 3000 მეტრზე ზემოთ არ აფრენილა. ერთი კვირის მერე უკვე კაიროში იყო. კიდევ ერთი კვირაც და ახლა ინდოეთში დაეშვა. ჰაერში წინააღმდეგობა არ შეხვედრია, დედამიწაზე კი მას „შლაგბაუმი" დაახვედრეს — ირანში გადაფრენა აუკრძალეს. ამიტომ ბაღდადიდან პირდაპირ ბახრეინისკენ აიღო გეზი. მთელი 1000 კილომეტრი ძირსდაუშვებლად იფრინა, რაც თავისი ბიპლანის ძირსდაუშვებლად ფრენის მაქსიმალურ მანძილს აღემატებოდა, ოღონდ ზვარი რალა თქმა უნდა, ახალ მანქანაზე იყო გათვლილი და არა მის მოფახფახებულზე.

ბახრეინში ჩასულს დიდი იმედი ჰქონდა, რომ ბრიტანეთის კონსული საწვავის შოვნაში დაეხმარებოდა, ის კი გამოენთო და მკაცრად გააფრთხილა, ფრენა შეწყვიტეო. მეტი რა დარჩენოდა, მიდგა-მოდგა, ბენზინი იშოვა და კვლავ ჰაერში აიჭრა. საერთო ჯამში, სულ რალაც ორ კვირაში თავისმა ბიპლანმა 8000 კილომეტრი გადაიფრინა. ეს რომ სპეციალისტებმა გაიგეს, არ დაიჯერეს, მაგრამ ფაქტი ჯიუტი იყო.

„EVER WREST" ინდოეთში, ლალაბუს მახლობლად პურნიხში მოწყენილი და დადუმებული იჯდა. მისი პატრონი აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ ხელისუფლებისაგან ნეპალზე გადაფრენის ნებართვა ვერაფრით მიიღო. ან როგორ მიიღებდა, როცა ამ ცაში ატყორცნილ ქვეყანაში უცხოელ კაცს კი არა, ლამის ჩიტსაც არ აჭაჭანებდნენ. ნეპალის საზღვრები უცხოელთათვის ჩარაზულ-დაგმანული იყო და ვაი მას, ვინც იქ შეღწევას ეცდებოდა. აკრძალვის დამრღვევს, ვინც არ უნდა ყოფილიყო, სიკვდილით დასჯა არ ასცდებოდა. ეგეც რომ არ ყოფილიყო, იმაზე ალარ ფიქრობდა, ჰიმალაიზე როგორღა უნდა გადაეფრინა, რაკი ამ მთებში ყველაზე დაბალი უღელტეხილი 5000 მეტრზეა, 6000 მეტრის სიმაღლეზეც კი ვინ იცის, აფრინდებოდა [illegible] მისი „EVER WREST". თუნდაც აფრენილიყო, ღია კაბინაში გაიყინებოდა და [illegible] გაიგუდებოდა.

ყარანში ეს ჩვენი თავზეხელაღებული ერთ თავის თანამემამულეს, „დეილი ექსპრესის" კორესპონდენტსაც გადაეყარა და სთხოვა, იქნებ როგორმე დამეხმაროო, იმან კი შორს დაიჭირა და როგორც შეეძლო არწმუნებდა, მაგ გიჟურ ოცნებაზე ხელი აიღეო.

ყურებჩამოყრილი უილსონი იჯდა და ფიქრობდა, რა ვილონოო, დღეები კი დღეებს მისდევდა და გული უსკდებოდა, მანამ მე აქ უქმად ვყურყუტობ, ვინ იცის, იქნებ ამ ოხერ პიუ რატლეჯის ექსპედიცია იქნებ ახლა უკვე ევერესტზეაო.

ამასობაში რამდენიმე კვირა მიილია. მუსონიც დაიწყო და აქამდე შემორჩენილი თავისი 500 ფუნტისთვისაც წირვა გამოეყვანა. სასოწარკვეთილი უილსონი დარწმუნდა, რომ ვერაფერს გახდებოდა.. ჰოდა, სწორედ ამ დროს რატლეჯის ექსპედიციის წარუმატებლობის ამბავი გაიგო და სიხარულით ცას ეწია, პირველობის შანსი გამიჩნდაო.

რატლეჯის თორმეტკაციანმა ექსპედიციამ, შერპათა მთელი არმია ზურგს რომ უმაგრებდა, მიზანს ვერ მიაღწია, მაგრამ მისი წევრები ვინ-ჰარისი და უეჯერი 8565 მეტრამდე ავიდნენ. მართალია, მათ სულ რალაც ხუთიოდე მეტრიღა დააკლდათ თანამემამულე ნორტონის 1924 წლის ზღვარამდე, მაგრამ ეს მაინც უდიდესი მიღწევა იყო.

ჰოდა ამ ცნობამ ცეცხლი შეუნთო მორის უილსონს. იფიქრა, ისინი თუ იქამდე ავიდნენ, კიდევ 283 მეტრის ავლა რალაა, ამ საქმეში ღმერთი დამეხმარებაო, მაგრამ ჯიბეზე ხელი რომ იკრა, გახვრეტილი პენიც ვეღარ მოძებნა.

გული მაინც არ გაიტეხა და გამოსავალიც მოძებნა - ადგა და თავისი „EVER WREST", ადამიანივით რომ შეეჩვია, გაყიდა. ის კი გაყიდა, მაგრამ ნეპალის სამეფოში არც ქვეითი ლაშქრობის უფლება მისცეს. ნეპალის მეზობელმა სიკჰიმის სამეფომაც იგივე შემოუთვალა, აქ შემოსვლა არ გაბედოო. ბოლოს ტიბეტში შეპარვა განიზრახა, რაკილა ფიანდაზებს არც იქ დაუგებდნენ.

უილსონმა ერთით ტიბეტელი გაიცნო, ჰოლ კარმა. ეს ტიბეტელი ის-ის იყო რატლეჯის ექსპედიციიდან დაბრუნდა. იგი ინგლისელთა 1922 და 1924 წლების ევერესტის ექსპედიციების მონაწილე იყო. ჰოლ კარმამ რომ უილსონის განზრახვა შეიტყო, აღფრთოვანდა და ინგლისელს დაპირდა, საბაზო ბანაკამდე მიგაცილებო. ყოველივე ამით უილსონმა ფრიად გაიხარა, რადგან იპოვა კაცი, რომელიც მეგზურობას გაუწევდა, უფრო კი ისახარებდა, რომ ბოლოსდაბოლოს გამოჩნდა ადამიანი, ვინც მას გაუგო.

მაგრამ კარგად რომ გაიცნეს ერთმანეთი, ბოლომდე ვერც კარვამ გაუგო. იფიქრა, ამ გადარეულ ექსცენტრულ კაცთან რა მატარებსო და მათი გზებიც გაიყარა.

ამასობაში იანვარიც დადგა და უილსონი მეგზურის საძებნელად სხვაგან გაეშურა. დიდხანს ეძება ისინი და დარჯილინგში იპოვა კიდეც შერპები: ტევანგი, თზერინგი და რინცინგ ბოტიები. სამივე რატლეჯის ექსპედიციაგამოვლილები. საოცრად გულღია და უთქმელები აღმოჩნდნენ.

უილსონი 21 მარტს ღამით მათთან ერთად გამოემშვიდობა სასტუმროს მეპატრონეს. ფული ნაწასწარ ექვსი თვისა გადაუხადა და უთხრა, ვეფხვებზე სანადიროდ მივდივართო. მას მერე მხოლოდ ღამ-ღამობით დადიოდნენ. ყოველღამ 25 კილომეტრამდე მანძილს ფარავდნენ. უცხოელი რომ არ ეცნოთ, უილსონი ტიბეტელი ბერმონაზონივით შეიმოსა. ასე იარეს წვიმაში, სეტყვაში, თოვლში. გასცდნენ კანჩენჯანღას და მთვარიან ღამეს კონგრა ლას უღელტეხილზეც ავიდნენ. მათ წინ ტიბეტი გადაშლილიყო. აქედან უილსონს გადაცმა ალარ სჭირდებოდა და შვებით ამოისუნთქა, რადგან ახლა უკვე დღისით სიარულზე გადავიდნენ, თუმცა შემხვედრთ მაინც ერიდებოდნენ.

და აი, 5200 მეტრზე მყოფმა უილსონმა 12 აპრილს პირველად დაინახა ევერესტი „მე დავინახე ევერესტი" — ჩაწერა აღფრთოვანებულმა თავის დღიურში.

ორი დღის მერე უილსონმა მეგზურებიანად რონგბუკს მიაღწია. ყოველი მხრიდან ვეება მთებით გარსშემოჯარული თოვლიანი ველიდან მონასტერი გამოჩნდა. მისი მასიური კედლები იმ ბუმბერაზი მთების ფონზე ერთი ციდად ეჩვენა. მონასტრის იქით ევერესტი აყუდებულიყო.

მონასტრის უმაღლესმა ლამამ ოთხივენი მდიდრულად მორთულ დარბაზში მიიწვია. უილსონის დიდმა მიზანმა ლამა აღაფრთოვანა და თავის მხლებლებიანად დალოცა.

იმ ღამეს უილსონს მღელვარებისაგან დიდხანს რული არ მიეკარებია. მტრედისფრად ინათა თუ არა, იგი 300 მონაზვნის გალობამ გააღვიძა და იფიქრა, ისინიც მე მლოცავენო. მერე ადგა და 20 კილოგრამიანი ზურგჩანთა წამოკიდა და რონგბუკის მყინვარისკენ გაუდგა. ამ მყინვარზე მას ბევრი მთამსვლელის მონათხრობი წაეკითხა, მაგრამ როცა მეორე დღეს უზარმაზარ ყინულის გროვას მიადგა, როცა მის ლაბირინთებში თავი და ბოლო ვეღარ გაიგო, როცა ხახადაღებულ ნაპრალებში ფსკერი ვერ დაინახა, გულზე შემოეყარა, ეს რა ჯოჯოხეთში მოვხვდიო. აბა, რა იცოდა უილსონმა, რომ მთამსვლელები თავიანთ მონათხრობში მარშრუტის გაიოლებას კარგ ტონად მიიჩნევდნენ.

ამ ყინულებში ბორიალის გაწამებულმა და ილაჯგაწყვეტილმა ბარგი შეიმსუბუქა, მაგრამ წინ მაინც გაჭირვებით და ნელა მიიწევდა. მთელი უბედურება ის იყო, რომ წრიაპები არ ჰქონდა და საფეხურებსაც სწორედ არ ჩეხავდა. იმ დღეს კი გვარიანი შიში ჭამა, როცა უთვალავი ნაპრალიდან ერთ-ერთში ლამის ჩავარდა.

სრულიად ძალაგამოცლილმა 16 აპრილს როგორც იქნა წინა ექსპედიციების მეორე ნაბანაკარს აღწია 6035 მეტრზე და თოვაც დაიწყო. დიდი გაჭირვებით კარავი გაშალა და შებობღდა. ცოტაოდენი პური გალოღნა და რამდენიმე ფინიკიც აცოდვილა.

მთელი ღამე ყინვისაგან კბილებს აკაწკაწებდა, მაგრამ ინათა თუ არა, ზემოთ გაუდგა გზას. ორი დღის მერე 6250 მეტრის სიმაღლეზე ქარბუქი დაატყდა თავს, საკვებიც უთავდებოდა, თოვა კი არ წყდებოდა.

სამი დღის მერე რონგბუკის მონასტერში კოჭლობითა და კუნთების საშინელი ტკივილით დაბრუნდა. ცალკე ყელის ტკივილი კლავდა და ცალკე დამწვარი თვალები ტანჯავდა, რაკი უსათვალოდ იარა.

შერპები თავს დაფოფინებდნენ და ევლებოდნენ. მანამ ისინი სუპს უმზადებდნენ, უილსონმა დღიური გადაშალა და დიდი გაჭირვებით ისეთი ბატიფეხურით ჩაწერა, რომ ძლივს წაიკითხავდით: "მე არ ვნებდები. კვლავინდებურად დარწმუნებული ვარ ამას გავაკეთებ....". როცა 10 დღის განმავლობაში პირველად შეხვრიპა ცხე-



ლი კერძი და ს კლი მოითქვა, შერპებს თავის ცდაზე უამბო, უამბო რონგბუკის საზარელ მყინვარზე, თავის ქანცგაწყვეტაზე, გაწბილებაზე, იმ სიმარტოვის საშინელ განცდაზე, იქ რომ დაეუფლა. მერე შეუმჩნევლად თვალს რული მიეპარა, ჩაეძინა და მხოლოდ 38 საათის მერე გაეღვიძა. გაეღვიძა და უმალ შერპებთან ერთად მეორე ცდის გეგმებზე დაიწყო საუბარი. გადაწყვიტეს, რომ რინტინგი და ტევანგი მას მესამე ბანაკამდე ააცილებდნენ, იქიდან უილსონი მარტო ავიდოდა მწვერვალზე და შერპები მანამ მოუცდიდნენ მას მესამე ბანაკში, სანამ იგი არ დაბრუნდებოდა.

სამწუხაროდ, თზერინგს ღვიძლი ასტკივდა და „ბრძოლას გამოეთიშა".

უილსონი პირველად მეხუთე დღეს წამოდგა, მაგრამ მარცხენა ხელი და თვალი კვლავ აწუხებდა. ფეხებიც დასიებოდა და ბარბაცებდა. მხოლოდ თვის ბოლოს მომჯობინდა და დღიურში ჩაწერა: „ფეხები და თვალი ო, კეი. რამდენიმე დღეში სრულიად გამოვჯანმრთელდები, წონაში საშინლად დავიკელი, მაგრამ კუნთები გამიმაგრდა. მალე სრულ ჯანზე ვიქნები, როგორც ყოველთვის. მესამე ბანაკამდე გზა, ამჯერად ეტყობა, ძნელი სრულიად არ იქნება. მე მჭირდება წრიაპები და ახალგაზრდები, რომლებიც ცხელ კერძს მომიმზადებენ. ვიმედოვნებ, რამდენიმე დღეში ასვლას დავიწყებ".

მაგრამ უილსონს ეჩვენებოდა, რომ მალე მთლად კარგად იქნებოდა, 1 მაისს მარცხენა თვალი სულ დაუბრმავდა, იმავე მხარეს კი სახე გაუშეშდა. იგი შიმშილით მკურნალობდა და თან რელიგიურ ცერემონიებში მონაწილეობდა. ექსტაზში ჩავარდნილთაგან აღფრთოვანებული იყო.

11 მაისს, როცა ევერესტმა ნისლის პირბადე ჩამოიფარა, უილსონმა დღიურში ჩაწერა: მორჩა, ხვალ გავდივართ. რაც იქნება იქნება, მინდა ეს ყველაფერი მალე გასრულდესო. ტევანგს კი ბარათი დაუტოვა, თუ დავიღუპები ეს წერილი დარჯილინგში ხელისუფალთ გადაეციო. უილსონი ხელისუფალთ სთხოვდა შერპებისთვის ეპატიებინათ კადნიერება, რითაც ამ მოგზაურობაზე აკრძალვას არ დაემორჩილნენ.

დილაუთენია უილსონი, ტევანგი და რინცინგი მართლაც გზას გაუდგნენ. შერპები აღმოსავლეთ რონგბუკის მყინვარზე თოკებს კიდებდნენ და უილსონს ასვლაში ეხმარებოდნენ. სამი დღის მერე მესამე ბანაკს აღწიეს. იქ რატლეჯის ექსპედიციის მიერ დატოვებული საკვების მთელი საწყობი აღმოაჩინეს. მანამ რინტინგი სადილს ამზადებდა, უილსონმა გზა გააგრძელა, რათა ჩრდილოეთ უნაგირისკენ მარშრუტი დაეზვერა. აქ მან აღმოსავლეთ რონგბუკზე ნახა ყინულოვანი უფსკრულები. 500 მეტრიანი ყინულის მასაც იხილა, რომლის დაძლევა იმდროინდელ გამოცდილ მთამსვლელებსაც კი უჭირდათ, ამან კი, ღმერთო დიდებულო, იმ საღამოს დღიურში ჩაწერა: „მწვერვალი და მისკენ მიმავალი გზა ახლა სრულიად შესწავლილი მაქვს. გასავლელი სულ რალაც 2100 მეტრიღა დარჩა".

16 მაისს უილსონსა და მის მეგზურებს მესამე ბანაკში თავს ქარბუქი დაატყდათ. ხუთი დღე საძილე ტომრებში ჩაფუთნულები იყვნენ და კარვიდან ცხვირსაც ვერ ჰყოფდნენ. 21-ში, როცა ქარბუქი ჩაცხრა, უილსონი ზემოთ მიმავალ გზას გაუდგა. ერთ ხანს მას რენცინგიც აედევნა, რათა უილსონისთვის რატლეჯის მიერ „მონიშნული" გზა ეჩვენებინა. მალე ისე დაიღალნენ, რომ ორივენი ოთხზე გადავიდნენ. მერე რენცინგი მესამე ბანაკისკენ გაბრუნდა, უილსონი კი მარტოდმარტო დარჩა დედამიწის უმაღლეს მწვერვალთან. ოთხი დღე ეულად ებრძოდა ამ გოლიათის თოვლსა და ყინულებს. ღამეს ციცაბო ფერდობებზე, პატარა შვერილებზე ათენებდა. დილიდან ისევ ზემოთ მიბობღავდა, ყინულზე ფეხი უსხლტებოდა, ქვემოთ მოსრიალობდა, სასწაულებრივად ჩერდებოდა და ისევ ზემოთ მიიწევდა. მერე 10-მეტრიან ნაპრალს წამოადგა თავზე. ზედ თოვლის თხელფენიანი ხიდი მოძებნა და დაუფიქრებლად ზედ გადახოხდა. ბედმა გაუღიმა, ხიდი არ ჩაინგრა. როგორც იქნა, ჩრდილოეთ უნაგირას ქვემოთ, ბოლო ყინულოვან კედელს მიადგა. ამ ასმეტრიან ციცაბო და მოლიპულ ყინულზე დიდი წვალებით ცოტა ზემოთ აიწია და შემოაღამდა. კიდევ ცდილით ისევ გააგრძელა ჯახირი და „ბუხარში" ასვლა სცადა, მაგრამ ისე [illegible]მდა, რომ ვერაფერს გახდა.

და უილსონმა, როგორც იქნა, [illegible], ევერესტთან ვერაფერს გახდებოდა. ჩამოსვლისას ლამის ყოველ ნაბიჯზე ფეხი უსხლტებოდა, ვარდებოდა, მისრიალებდა, კვლავ ფეხზე დგებოდა და ისევ ვარდებოდა. ბოლოს ილაჯგაწყვეტილი და ცოცხალ-მკვდარი შერპების მკლავებზე გადაესვენა.

ორი დღე მესამე ბანაკში საძილე ტომარაში ჩაფუთნულმა გაატარა. მერე თავის დღიურში გამაოგნებელი რამ ჩაწერა: „ტევანგი უკან გაბრუნებას აპირებდა, მაგრამ დავიყოლიე, რომ მეხუთე ბანაკამდე გამაცილოს. ეს ჩემი უკანასკნელი ცდა იქნება. თავს დამაჯერებლად ვგრძნობ..."

მართლაც, ნეტარ არიან მორწმუნენი! უილსონს შერპები არ დაუყოლიებია. მათ ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს, ზემოთ წამომსვლელები აღარა ვართო. თავიანთ საჰიბსაც ბევრი უჩიჩინეს, უგუნურ იდეაზე ხელი აიღე და ჩვენთან ერთად დაეშვი, თორემ უეჭველად დაიღუპებიო. ბევრი იკამათეს, იდავიდარაბეს, მაგრამ ორივე მხარე თავისას იყო.

რაკი უილსონი მათთან ვერას გახდა, ადგა და 29 მაისს მარტო გაუდგა გზას, მაგრამ მეტისმეტად დასუსტებული იყო და ხოხვით ცდილობდა ასვლას. მესამე ბანაკს ბევრად ვერ ასცდა და ქანცგაწყვეტილმა კარავი გაშალა. 30-ში კარვიდან ცხვირიც არ გამოუყვია, მაგრამ მეორე დღეს დღიურში გაყინული ხელით ოკრო-ბოკროდ ჩაწერა: „დიდებული ამინდია, წინ!"

ამ სიტყვებით დასრულდა მორის უილსონის დღიური. მას მერე იგი ცოცხალი აღარავის უნახავს.

ერთი წლის მერე, 1935-ში ერიკ შიპტონმა, ჩარლზ უორენმა და თენსინგ ნორგეიმ მორის უილსონის გვამი და დღიური იპოვეს.

შემდგომში ტევანგს, რინტინგსა და თზერინგს თენსინგ ნორგეი შეხვდა და ყველაფერი დაწვრილებით გამოკითხა. თენსინგი ასე იხსენებდა ამ ტრაგედიას.

„...მესამე ბანაკის შემდეგ ტიბეტელებმა უარი თქვეს გზის გაგრძელებაზე და შეკამათდნენ. ბოლოს და ბოლოს, უილსონმა თქვა: „კარგი, მარტო წავალ უნაგირაზე და სამ დღეს მელოდეთ". და წავიდა. მზიდავებმა, მათი თქმით, დანიშნულ დრომდე იცადეს და მერე წავიდნენ. მართალს ამბობდნენ თუ ტყუილს, ერთი რამ ცხადი იყო. მათ არაფერი გაუკეთებიათ უილსონის საშველად. მე ბრაზი მომდიოდა და მრცხვენოდა, რადგან ისინი ვალდებულნი იყვნენ, მოეძებნათ უილსონი ან, ყოველ შემთხვევაში, მის დაბრუნებამდე დაეცადათ. თანაც მათ ბევრი ფული ვუნახე, რომელიც ცხადია, უილსონისა უნდა ყოფილიყო".

ასე დაასრულა სიცოცხლე მორის უილსონმა, კაცმა, რომელმაც მართლაც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოლა მიზნის მისაღწევად.

„მიზნისკენ სწრაფვა თავად მიზანია" — ღაღადებს ბუდისტური სიბრძნე და ეს უგუნურმა უილსონმა დაადასტურა. მე მომწონს ეს ჯიუტი დონ კიხოტი, მე ის მირჩევნია იმ ლეგიონებს, რომლებიც მყუდრო ბინებში ცხოვრობენ და სიბერისათვის ფულს აგროვებენ" - თქვა მესნერმა.

მორის უილსონს ევერესტზე ლაშქრობათა ქრონოლოგიაში უფრო ხშირად არც კი იხსენებენ, ალბათ იმიტომ, რომ მთამსვლელი არ იყო და მარტო ცდილობდა ასვლას.

მაგრამ რომ არ ყოფილიყო მორის უილსონი, რომ არ ყოფილიყვნენ მისი მიმდევრები ერლ დენმანი და დენ კლვას ბეკერ-ლარსენი, იქნებ ნახევარი საუკუნის მერე არც რაინჰოლდ მესნერი ყოფილიყო. ის რაინჰოლდ მესნერი, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ.

ვინ იცის?..

ავთანდილ გურასაშვილი

## აქეთური, იქეთური

აშშ-ის დევისის თასის გუნდის' კაპიტნად დატოვეს პიტ სამპრასის მწვრთნელ ტიმ გალიქსონის ძმა, სახელად ტომი. მისი წინამძღოლობითა და მოსკოვში რუსების ძლევით ამერიკელებმა შარშან 31-ედ მოიპოვეს თასი, რომლის დაცვასაც თებერვალში შეუდგებიან კალიფორნიაში, სადაც მსოფლიო ჯგუფის მერვედფინალში მეზობელ მექსიკას უმასპინძლებენ.

*

2000, 2004 და 2008 წლების ზაფხულის ოლიმპიადების ევროპისათვის ჩვენების უფლების მოსაპოვებლად კონსორციუმი, რომელსაც ავსტრალიელი რუპერტ მერდოქი უმაგრებს ზურგს, 2 მილიარდ დოლარს ჩადის. აქამდე ამ უფლებას ერთთავად ევროპის ტელეხედვისა და რადიომაუწყებლობის კავშირი ეუფლებოდა ხოლმე.

*

საფრანგეთის განსვენებული პრეზიდენტის — ფრანსუა მიტერანის ხსოვნას საკადრისი პატივი არ მიაგეს „პარი სენ ჟერმენის" ფეხბურთის გუნდის ქომაგებმა, რომლებმაც „პარკ დე პრენსზე" გამოცხადებული წუთიერი დუმილის პასუხად მორთეს რასობრივი სიძულვილისა და შეუწყნარებლობის მთესველი მავანი პოლიტიკური პარტიის ლიდერის გვარის სკანდირება.

*

მას შემდეგ, რაც დონ შულერი 33 წლიანი ზეობის შემდეგ გადადგა ამერიკული ბურთაობის კლუბ „მაიამი დოლფინზის" მწვრთნელობიდან, ფლორიდელთა ახალ მოძღვრად დაინიშნა ჯიმი ჯონსონი, ვინაც „დალას კავბოიზს" 1993 და 1994 წლებში მოაგებინა სუპერ-ბოული. ჯონსონი ოთხი წლის განმავლობაში 8 მილიონ დოლარს მიიღებს. „კავბოები" უმისოდაც მოხვდნენ XXX სუპერ-ბოულზე, 28 იანვარს რომ გათამაშდება. დალასის გუნდმა კვირას, ეროვნული კონფერენციის ფინალში შინ 38:27 მოუგო „გრინ-ბეი პეკერზს", თუმც კი ბოლო მეოთხედის წინ 3 ქულით აგებდა. „კავბოებს" სუპერ-ბოულს შეეცილება ამერიკის კონფერენციის რჩეული „პიტსბურგ სთილერზი", ვინაც ფინალში ასევე შინ და ასევე კვირას 20:16 აჯობა „ინდიანაპოლის კოლტსს".

*

პაკისტანის კრიკეტის ნაკრებში დიდი ინტრიგების შემდეგ დააბრუნეს ექს-კაპიტანი, 38 წლის ჯავედ მიანდადი, ვისაც 228 საერთაშორისო თითოდღიანი მატჩი უთამაშია და თუ წლევანდელ მსოფლიო თასზეც წაიყვანენ, მთელს მსოფლიოში ერთადერთი იქნება, ვისაც ექვსივე მსოფლიო თასზე ექნება ნათამაშევი.

*

შოტლანდიელი კოლინ მაკრეი, ვინაც შარშან ავტორალის მსოფლიო ჩემპიონი გახდა, წელსაც დარჩება „სუბარუში", რომელმაც გუნდური პირველობა მოიგო. რაც შეეხება „გრენადა — დაკარის" რალს, წინა კვირის ბოლოს მან მავრიტანიიდან შეუხვია მალში, იქიდან — გვინეაში და კვირას სენეგალში დასრულდა. მართალია, ფინელმა არი ვატანენმა („სიტროენი") მოიგო ბოლო ორი — XIV და XV ეტაპები, მაგრამ ავტოთა შეჯიბრში ზედიზედ მესამე წელია მაინც იმარჯვებს ფრანგთა ეკიპაჟი — პიერ ლატიგისა და მიშელ პეროს წყვილი, რომელიც აგრეთვე „სიტროენით" ასპარეზობს. მოტოციკლისტთა შეჯიბრი მოიგო იტალიელმა ედი ორიოლიმ („იამაჰა"). სწორედ ერთ-ერთი მოტოციკლი შეიქნა მორიგი ტრაგედიის მიზეზი: გვინეის სოფელ ტარამბოლში სამი წლის გოგო ბუჩქიდან გამოუხტა უცხო მანქანას, თავის ქალა გაუტყდა და მოკვდა.

*

რაგბისა და ლიგის შერიგებამ ერთი ნაბიჯითაც წინ წაიწია. ლიგამ მიიღო რაგბის კავშირის მიწვევა და მიდლსექსის შვიდკაცაზე, 11 მაისს თვიქნემში (ლონდონი) რომ გაიმართება, თავის ერთ-ერთ ბობოლა კლუბს მიავლენს. კანდიდატებად ასახელებენ „ვიგანსა" და „სენთ-ჰელენსს, რომლებმაც შაბათს ლიგის შექმნის ადგილას — ჰადერსფილდში გაითამაშეს „რეგალ ტროფი", ფეხბურთის ლიგის თასის ანალოგი რომაა. ძლევამოსილი „ვიგანი" ერთი პირობა აგებდა, მერე გვარიანად დაწინაურდა, ბოლოს მეტოქე ერთობაც წამოეწია, მაგრამ ბოლოსდაბოლოს ვიგანელებმა მაინც გაიმარჯვეს 25:16, მათმა ჰენრი პოლმა კი 2 ლელოთი და 4 გოლით 16 ქულა მოიხვეჭა.

*

ტაივანის ბადმინტონის ღია პირველობაზე დედა-ჩინეთმაც მიავლინა გუნდი. მართლაც, ვაჟთა ფინალში ჩინელმა დონ ჯუნმა ორ ხელში დაამარცხა მალაიზიელი რაშიდ სიდეკი, მაგრამ ქალთა პირველ ჩოგანს, ასევე ჩინელ იყაოინს ინდონეზიელმა სუზი სუზანტიმ 11:5, 11:2 აჯობა.

## რაგბი

# ნაკრებს ტესტირება დაწმენდს

საახალწლოდ საქართველოს რაგბის კავშირი ისეთ ვრცელ, ნათელსა და გაკრიალებულ ოფისში გადავიდა, რომ მსგავსი არათუ მორაგბეებს არასოდეს ღირსებიათ, თვით ბევრად უფრო პრივილეგირებული სპორტის სახეობების ხელმძღვანელ მუშაკებსაც კი ვერ დაესიზმრებათ.

გუშინწინ, კვირა დღეს, ძველი სტილით ახალ წელს, რაგბის კავშირის გამგეობა პირველად შეიკრიბა ახალ სამუშაო ადგილზე და ბევრი რამ საგულისხმოც დაადგინა. ასე მაგალითად, ის რომ ფირა-ს პირველობის გადამწყვეტი მატჩი **საქართველო — ჩეხეთი** 13 აპრილს გაიმართოს **ქუთაისში.**

გაირჩა ჰოლანდიასთან სამარცხვინოდ წაგებული თამაშიც. ითქვა, რომ ტრაგედიაა არა ანგარიში, არამედ ნაკრების მოთამაშეთა დიდი ჯგუფის უიდეობა და იმის შეუგნებლობა, რომ სამშობლოს წარმოადგენენ მსოფლიო ასპარეზზე.

ეროვნულ ნაკრებში დიდი წმენდაა მოსალოდნელი. ის არ შეეხება მწვრთნელებს. სამაგიეროდ, მოთამაშეებმა ამსტერდამულ ყაიდაზე რომ ვეღარ გაილაღონ, ფორმაში მათი სამყოფელად შემოღებული იქნება ფუნქციური მდგომარეობის ტესტირება: ვინც ამ გამოცდას ვერ ჩააბარებს, გინდაც აქაური ბლანკო ანაც ზინზან ბრუქი იყვეს, ნაკრებში ვერ მოხვდება.

რაგბის კავშირს ამიერიდან საქართველოს უმეტეს კუთხეებში ექნება რეგიონული კომიტეტები. ისინი ადგილებზე რაგბის გავრცელებას მიხედავენ. პრიორიტეტული ამოცანა ყოფილა ფოთში თამაშის დანერგვა. ცალკე კომიტეტი შეიქმნება რუსეთუმეთათვის ანუ იმ ქართველი მოთამაშეების სამეთვალყურეოდ, რომლებიც რუსეთის დედაქალაქში ცხოვრობენ და იქაურ გუნდებში თამაშობენ.

წელს ასეთთა რიცხვი იმატებს, რაკილა „აიასა" და ნაკრების ძველი მწვრთნელი დუგლას კავთელაშვილი თურმე სარაგბო ცსკა-ს აყალიბებს. ამის გამო მოსალოდნელია ქუთაისელი ნაკრების წევრების — ფირცხალავას, ძოწენიძისა და ძმები ძაგნიძეების მოსკოვში გადასვლა, რაც უთუოდ გააცხოველებს ჩვენი რაგბის კავშირისა და რუსული კლუბების დავას თუ არა, კონტაქტებს მაინც, რათა ამათ დროით გაათავისუფლონ „ბორჯღალოსნები" თავიანთი ქვეყნის სახელით სათამაშოდ.

საერთაშორისო კანონმდებლობა ამ საკითხის გამო, საბედნიეროდ, ჩვენს მხარესაა. ირბ-ის ახალი დადგენილებით, რაგბის კავშირებს ეკუთვნით უპირობო პრიორიტეტი უცხოეთის კლუბებში მოთამაშე ნაკრების წევრებზე. ეს პრინციპი იმითიცაა განმტკიცებული, რომ საკლუბო კონტრაქტის დადებისას აკრძალულია ნაკრებში სათამაშოდ გაშვების პირობების ჩამოყალიბებაც კი, მაგრამ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი კანონებს რომ არას დაგიდევთ, ესეც ცნობილია.

დასასრულ ისიც გამოცხადდა, რომ წლევანდელ ქვეყნის პირველობაში, ერთობ რთული სისტემით, სამ სტადიად რომ გაიმართება, პირველსა და მეორე ჯგუფებში შვიდ-შვიდი გუნდი იასპარეზებს. წილისყრა და კალენდრის შედგენა რაგბის კავშირის ახალ ოფისში იქეთა ხუთშაბათს, 25 იანვარს მოხდება.

ზაზა ფხაკაძე



ხუთი ერის პირველობა

# ჩემპიონი ვინიცობაა შაბათსვე გაირკვეს

**შაბათს** პროფესიული რაგბის ხანის პირველი „ხუთი ერის პირველობა" იწყება. რაკი მსოფლიო რაგბში დიდი გარდაქმნა დაწყებულა, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ წლევანდელი შეჯიბრი გამოდგეს უკანასკნელი, რომელიც გაგანია ზამთარში დაიწყება და უიტალიოდ გაიმართება. ლათინები ბოლო დროს ერთობ გაძლიერებულან, რის გამოც ბრიტანელები უკვე სისტემატურად ეთამაშებიან, თუმცაკი ყველა ქვეყანა როდი ანიჭებს იტალიასთან მატჩს ტესტის სტატუსს. უელსი ამ მხრივ პირნათელია: „ცისფრებს" ამელამ სრულფასოვან საერთაშორისო თამაშს გაუმართავს 1999 წლის მსოფლიო თასის ფინალის ბინაზე — კარდიფის „არმზ პარკზე", ბოლო წლებში ეროვნული სტადიონი რომ დარქმევია და ფეხბურთის ეროვნული ნაკრებისათვისაც გაუღია კარი, რისი წყალობითაც ქართველ ფეხბურთელებსაც დაუდგამთ ფეხი უელსური რაგბის ტაძარში, იქაურ მორაგბეთა გარდასული დიდების უტყვი მოწმე რომაა.

წლევანდელი პირველობის ბედი ალბათ პირველსავე ტურში გადაწყდება — პარიზის მატჩის გამარჯვებული უეჭველად ჩემპიონი გახდება, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ საფრანგეთიცა და ინგლისიც შოტლანდიას უნდა ეწვიონ.

მართალია, ინგლისს ბოლო წლებში უკეთესი ჯამური მაჩვენებელი აქვს და 1988 წლის შემდეგ ზედიზედ 7-ჯერ (!) დაუმარცხებია საფრანგეთი, მაგრამ „მამლებმა" ისე ითამაშეს მსოფლიო თასზეცა და მერეც, რომ უდაო ფავორიტებად მიიჩნევიან.

ზაზა კირკიტაძე

ხუთი ერის პირველობაზე ბოლო 10 წელში გამარჯვებულები

| | |
|---|---|
| 1986 | საფრანგეთი და შოტლანდია (6) |
| 1987 | საფრანგეთი (8) ● |
| 1988 | საფრანგეთი და უელსი (6) |
| 1989 | საფრანგეთი (6) |
| 1990 | შოტლანდია (8) |
| 1991 | ინგლისი (8) |
| 1992 | ინგლისი (8) |
| 1993 | საფრანგეთი (6) |
| 1994 | უელსი (6) * |
| 1995 | ინგლისი (8) |

* 1994 წელს ინგლისმაც 6 ქულა მოაგროვა, მაგრამ რაკილა ბურთების უარესი სხვაობა ჰქონდა, ახალი დებულების ძალით თანა-ჩემპიონად აღარ გამოცხადდა

5-ქულიანი ლელოს შემოღებისშემდგომი ჯამური ცხრილი

| 93 + 94 + 95 | მ | ფ | წ | ბ | ლ |
|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 9 | 0 | 3 | 212:142 | 15-10 |
| საფრანგეთი | 7 | 0 | 5 | 234:174 | 27-10 |
| შოტლანდია | 5 | 1 | 6 | 175:181 | 10-15 |
| ირლანდია | 4 | 1 | 7 | 138:206 | 8-19 |
| უელსი | 4 | 0 | 8 | 155:211 | 11-17 |

წლევანდელი თამაშთა განრიგი

(ბოლო ათწლეულის ბალანსითურთ; ფრჩხილებში ფრეთა რაოდენობა წერია)

20.I. საფრანგეთი — ინგლისი 3-7, ირლანდია — შოტლანდია 1-8 (1)

3.II. ინგლისი — უელსი 6-4, შოტლანდია — საფრანგეთი 5-5

17.II. საფრანგეთი — ირლანდია 10-0, უელსი — შოტლანდია 4-6

2.III. ირლანდია — უელსი 5-4 (1), შოტლანდია — ინგლისი 2-7 (1)

16.III. უელსი — საფრანგეთი 1-9, ინგლისი — ირლანდია 7-3

# სვირინგიანი ხვადაგი ამხილეს

9 დეკემბერს სამხრეთაფრიკელმა ფრანსუა ბოთამ (**ფოტოზე**) შტუტგარტში ცემა გერმანელი აქსელ შულცი და მოიპოვა ფედერაციის (იბფ) მძიმეწონოსანი მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, რომელიც თავის დროზე ბებერ ჯორჯ ფორმენს ჩამოერთვა.

შერკინების დამთავრებისთანავე შულცის ქომაგებმა დებოში მოაწყვეს, აქაოდა ჩვენს რჩეულს მსაჯებმა ძალად წააგებინესო, პარასკევს კი გერმანული კრივის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მუშაკმა განაცხადა, ბოთას დოპინგ-ტესტი ჩაუფლავდა — პირველ სინჯში ანაბოლური სტეროიდის, ე.წ. ნანდროლონის კვალი აღმოაჩნდაო.

მეორე სინჯის ანალიზის შედეგი ჯერჯერობით უცნობია.

ვალერი ჯიქია

## ჩოგბურთი

# ფერიად ქცეული ჰონქია

გუშინ მელბურნის „ფლინდერს პარკში" წლის პირველი „დიდი სლემის" ტურნირი — ავსტრალიის ღია პირველობა გაჩაღდა.

ზაფხულის კვალობაზე მზიანი დარი დაიჭირა. ძველმა ჩემპიონმა — ამერიკელმა ჯიმ კურიემ 7:5, 7:6, 6:4 დაამარცხა ბელგიელი ვან ჰეკი; ამერიკელმა მაიკ ჩანგმა ჩეხ დავიდ რიკოლს ისე მოუგო, რომ სულ 5 გეიმი წააგო; ასევე ამერიკელი არონ კრიკსტინი 0-2 აგებდა შვედ ტილსტრომთან, მერე წამოეწია, მაგრამ მეხუთე ხელში მაინც დამარცხდა 2:6; მასპინძელთა ჯილამ — ჯეელმა მარკ ფილიპუსისმა თავიდან ცოტა კი აალელვა ქომაგები, მაგრამ მერე 7:6, 6:0, 6:1 მაინც აჯობა ჭაბუკთა შარშანდელ ჩემპიონს, გერმანელ მარკ კიფერს.

ვაჟთა შარშანდელი გამარჯვებულის — ამერიკელი ანდრე აგასის პირველი მეტოქე იყო არგენტინელი გასტონ ეტლისი, ვინაც ბოლო ერთი წლის მანძილზე კლასიფიკაციაში ერთბაშად ასი ადგილით წინ წაიწია. ანდრე, ვისაც მკერდის კუნთი მოუშუშდა, ცენტრალურ კორტზე შეკრებილ საზოგადოებას თავგადახოტრილი წარუდგა, მისი მთავარი მეტოქე, ნაგრიპალი პიტ სამპრასი კი პირველ წრეში ავსტრალიელ რიჩარდ ფრომბერგს შეერკინება. შარშანდელ ფინალში სამპრასი, რომელიც ძლიერ დაეღალა კურიესთან გამარჯვებას და დაემწუხრებინა მწვრთნელ ტიმ გალიქსონის ავადმყოფობას, სწორედ რომ აგასიმ დაამარცხა.

პირველობის წინა კვირა სამპრასს გრიპმა გააცდენინა, აგასიმ კი მელბურნის „კუიონგში" გამართულ საჩვენებელ, ე.წ. კოლონიურ ტურნირში იასპარეზა, სადაც ოდენ რვა მონაწილე შეკრებილიყო. ჩანგმა 6:4, 6:0 მოუგო კურიეს, მერე აგასიმ სამ ხელში წააგო რუს კაფელნიკოვთან, ამას კი ფინალში ჩანგმა ორ ხელში აჯობა. პარალელურად სიდნეიშიც მოეწყო „პიტერსის ტურნირი", ყოფილი ახალი სამხრეთი უელსის პირველობა. ამ შეჯიბრების ფინალში ამერიკელმა ტოდ მარტინმა 5:7, 6:3, 6:4 დაამარცხა პირველ ნომრად განთესილი ხორვატი გორან ივანიშევიჩი.

ქალების შეჯიბრში მონაწილეობენ ესპანელები სანჩეს-ვიკარიო და მარტინესი, შარშანდელი ჩემპიონი, ფრანგი მარი პირსიც, მაგრამ ფეხმტკივანი შტეფი გრაფის არყოფნის გამო უცილობელ ფავორიტად ითვლება მონიკა სელეში, ვისაც ავსტრალიაში აქამდე ერთი მატჩიც არ წაუგია. წინა კვირაში მონიკა გახურდა სიდნეის შეჯიბრში, რომლის ფინალიც 4:6, 7:6, 6:3 მოუგო ამერიკელ ლინდზი დავენპორტს.

ავსტრალიის ღია პირველობა უწინ „დიდი სლემის" კონკია ყოფილა. წელს საპრიზო ფონდი 19 პროცენტით გაიზარდა, მოიმატა საკლასიფიკაციო ქულების ნიხრმაც, მოეწყო ორი ახალი შოუ-კორტი, რისი წყალობითაც შეჯიბრი ერთდროულად 24 მოედანზე იმართება, დაიდგა ფართო სატელევიზიო ეკრანებიც, გამოიყენებენ „დანლოპ-შლეზინგერის" ახალ, ცისფერ ბურთებს. ბობოლათაგანაც აღარავის ეზარება ეკვატორს ქვემოთ სტუმრობა, აგასის შარშანდელი გამარჯვების გამო კი ისიც უთქვამს, თუ აქამდე ოდენ ტურნირების გამარჯვებული ვიყავი, „ფლინდერს პარკში" მოგებამ ჩემპიონთა ჩემპიონად მაქციაო!

ვასო გუჩმაზაშვილი



ავსტრალიის ღია პირველობაზე ბოლო 10 წელში გამარჯვებული ქალები და ვაჟები

| ქალები | | ვაჟები |
|---|---|---|
| ნავრატილოვა (3) | 1985* | ედბერგი (1) |
| მანდლიკოვა (2) | 1987 | ედბერგი (2) |
| გრაფი (1) | 1988 | ვილანდერი (3) |
| გრაფი (2) | 1989 | ლენდლი (1) |
| გრაფი (3) | 1990 | ლენდლი (2) |
| სელეში (1) | 1991 | ბეკერი (1) |
| სელეში (2) | 1992 | კურიე (1) |
| სელეში (3) | 1993 | კურიე (2) |
| გრაფი (4) | 1994 | სამპრასი (1) |
| პირსი (1) | 1995 | აგასი (1) |

* 1977-85 წლებში შეჯიბრი იმართებოდა არა ახლანდელივით იანვარში, არამედ წლის მიწურულს. ფრჩხილებში ტიტულის რიგითი ნომერი წერია



1995 წლის ჩემპიონები: აგასი და პირსი




სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ ბიბინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29